პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გამოდის 33-ე წელი

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 170 (9330)

შაბათი 19 ივლისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთშია


სანიმუშოდ მოვაწყოთ საწარმოო-ტექნიკური პროპაგანდა—მოწინავე (1-ლი გვერდი).

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე პიეტრო ნენი (1-ლი გვერდი).

როგორ მუშაობს კომბაინერი ტიტვინიძე (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება—ერთი საანგარიშო-საარჩევნო კრების შესახებ (მე-2 გვერდი).

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად (მე-2 გვერდი).

საბჭოთა დაწესებულების პარტიული ორგანიზაცია—„პრავდის" 18-VII მოწინავე (მე-3 გვერდი).

გავაძლიეროთ ჩაის ... ფოთლის გაუხეშება (მე-3 გვერდი).

თბილისის ახალ მშენებლობებზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).


## სანიმუშოდ მოვაწყოთ საწარმოო-ტექნიკური პროპაგანდა

ჩვენი სამშობლოს მრეწველობა, მთლიანად სოციალისტური სახალხო მეურნეობა აღჭურვილია უახლესი საბჭოთა ტექნიკით. ჩვენი ქვეყნის მანქანათმშენებელი საწარმოები ყოველწლიურად ქმნიან სახალხო მეურნეობისათვის ასობით ახალი ტიპის მანქანებსა და მექანიზმებს. მარტო შარშან საბჭოთა მანქანათმშენებლობამ შექმნა 500-მდე ახალი ტიპისა და მარკის მანქანები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის შემდგომ ტექნიკურ პროგრესს. შექმნილია ახალი ტიპის მძლავრი ჰიდროტურბინები და ჰიდროგენერატორები, მიწისმწოვი მანქანები და მოსიარულე ექსკავატორები, ქვანახშირის კომბაინები და 25-ტონიანი სატვირთო ავტომობილები. წარმოების ტექნიკის თვალსაზრისით, სამრეწველო წარმოების ახალი ტექნიკით აღჭურვის მოცულობის თვალსაზრისით ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის: **„ტექნიკა რომ ავამოძრაოთ და ბოლომდე გამოვიყენოთ, საჭიროა ტექნიკას დაუფლებული ადამიანები, საჭიროა კადრები, რომელთაც შესწევთ უნარი აითვისონ და გამოიყენონ ეს ტექნიკა ხელოვნების მთელი ოსტატობით".**

ჩვენი სახალხო მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდასთან ერთად იზრდებიან მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ახალგაზრდა კადრები, რომლებიც ყოველწლიურად ასეულათასობით და მილიონობით ემატებიან სოციალისტურ სახალხო მეურნეობას. ამ ახალგაზრდა კადრების შემდგომი აღზრდის, მათ მიერ ახალი ტექნიკის საფუძვლიანი დაუფლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სანიმუშოდ მოწყობილი საწარმოო-ტექნიკური პროპაგანდა—ლექციები, მოხსენებები და საუბრები წარმოების ეკონომიკის, შრომის ნოვატორული მეთოდების გავრცელების საკითხებზე. საფუძვლიანად, საქმის ღრმა ცოდნით დამუშავებულ ლექციასა თუ საუბარს შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, თვითღირებულების შემცირებაზე, ნედლეულისა და მასალების ეკონომიაზე, ლითონის ჩქაროსნული დამუშავების მეთოდებზე დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია საწარმოთა კოლექტივებისათვის.

კომუნიზმის მშენებელ ქვეყანაში ყველა პირობა მოიპოვება ტექნიკური პროპაგანდის ფართოდ გაშლისათვის. მარტო ჩვენი რესპუბლიკის პროფესიული ორგანიზაციების განკარგულებაში 126 კლუბი და კულტურის სახლი, 168 ბიბლიოთეკა და ათასზე მეტი წითელი კუთხეა, სადაც შეიძლება ვაწარმოოთ ფართო ტექნიკური პროპაგანდა. საკმაო რაოდენობით გვყავს ლექტორთა კადრებიც როგორც თვით საწარმოებში, ისე სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც გაერთიანებული არიან პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებაში. ამავე დროს ტექნიკური პროპაგანდა მარტო ლექციებითა და მოხსენებებით როდი განისაზღვრება. ტექნიკური პროპაგანდის ერთ-ერთი სახეობაა აგრეთვე მუშათა კლუბებში საწარმოო-ტექნიკურ თემებზე კარგად მოწყობილი სტენდები, სტახანოველთა საპატიო დაფები მათი საწარმოო მაჩვენებლებით, ურთიერთგამოცდილების გაზიარების მიზნით სტახანოველთა შეკრებები პროფესიების მიხედვით, წარმოებისა და მეცნიერების მუშაკთა მჭიდრო თანამეგობრობა წარმოების ამა თუ იმ აქტუალური საკითხების გადაჭრის საქმეში.

სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშათა კლუბში შედარებით კარგად ეწევიან ტექნიკურ პროპაგანდას. კლუბის ფოიეში აქვთ საწარმოო-ტექნიკური თემების ამსახველი სტენდი, საპატიო დაფა მოწინავე სტახანოველთა საწარმოო მაჩვენებლებით. საქარხნო კომიტეტი და კლუბის გამგეობა წითელ კუთხეებში, საამქროებში და მუშათა საერთო საცხოვრებლებში პერიოდულად მართავენ ლექციებს საწარმოო-ტექნიკურ თემებზე. ასეთი ლექციების წასაკითხავად იყენებენ როგორც ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებს, ისე წარმოების ნოვატორებს. მიუხედავად ამისა, იშვიათად ეწყობა ლექციები და საღამოები მუშაობის ურთიერთგამოცდილების გაზიარების მიზნით.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საწარმოო-ტექნიკური პროპაგანდა ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მუშათა კლუბში. მიუხედავად იმისა, რომ კლუბს აქვს კარგად მოწყობილი ტექნიკური კაბინეტი, კლუბის გამგეობას წელს არც ერთი მოხსენება, ან ლექცია არ მოუწყვია საწარმოო-ტექნიკურ თემაზე. არ ეწევიან შრომის ახალი მეთოდების პროპაგანდას. შრომის ნოვატორული მეთოდების პროპაგანდაში ჩაბმული არ არიან სტახანოველები და წარმოების სხვა მოწინავე ადამიანები.

საწარმოო-ტექნიკური პროპაგანდის მხრივ მსგავსი მდგომარეობაა სადგურ სამტრედიის რკინიგზის კლუბშიც, სადაც არ იყენებენ საწარმოო-ტექნიკური პროპაგანდის თვალსაჩინოებას, პოპულარიზაციას არ უწევენ საწარმოო გეგმების შესრულებას, არა აქვთ საწარმოო ხასიათის პლაკატები, დიაგრამები, ალბომები, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ამსახველი საპატიო დაფა და ვიტრინა. არ ეწყობა სტახანოველთა საუბრები და მოხსენებები მათი მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. კლუბის გამგეობას არასოდეს არ მოუწყვია სტახანოველთა, ნოვატორთა და წარმოების ძველი მუშების თემატური შეხვედრა-საღამოები ახალგაზრდა მუშებთან. ნახევარი წლის განმავლობაში კლუბში მხოლოდ ერთი ლექცია მოეწყო ტექნიკურ საკითხზე.

ტექნიკურ პროპაგანდას სუსტად ეწევიან არა მარტო ზემოაღნიშნული მუშათა კლუბები, არამედ მთელ რიგ სხვა საწარმოებთან არსებული კულტურისა და ტექნიკური პროპაგანდის კერებიც. მაგალითად, თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა კლუბში არ ეწყობა წარმოების ნოვატორთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება. კლუბთან შექმნილი არ არის ლექტორიუმი.

საწარმოო-ტექნიკური პროპაგანდის დარგში ასეთი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იმით არის გამოწვეული, რომ საწარმოთა პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები ჯეროვნად არ აფასებენ ტექნიკური პროპაგანდის მნიშვნელობას, იშვიათად განიხილავენ პროპაგანდის საკითხებს, ამ ფრიად პასუხსაგებ სამუშაოს ანდობენ მხოლოდ კლუბების გამგეობებს და მასობრივ-საწარმოო კომისიებს, რომელთა მეტი წილი უმოქმედობას იჩენს.

საჭიროა მუშათა ყველა კლუბთან მოვაწყოთ ტექნიკური კაბინეტები და ლექტორიუმები, სისტემატურად გავმართოთ თემატური ლექციები, საუბრები და მოხსენებები, სტახანოველთა საღამოები, სტახანოველთა და წარმოების ნოვატორთა შეხვედრები ახალგაზრდა მუშებთან, წარმოებისა და მეცნიერ მუშაკთა თანამეგობრობის საღამოები. ტექნიკური პროპაგანდა რეგულარულად უნდა ვაწარმოოთ არა მარტო მუშათა კლუბებში, არამედ წითელ კუთხეებსა და მუშათა საერთო საცხოვრებლებშიც. აუცილებელია საკლუბო ბიბლიოთეკები შევავსოთ ახალი პოპულარული ტექნიკური ლიტერატურით.

ტექნიკური პროპაგანდა კომუნიზმის მშენებელ ადამიანს ხელს უწყობს პროფესიის უკეთ დაუფლებაში, ახალი ტექნიკის სრულყოფილად ათვისებაში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში. ტექნიკური პროპაგანდის მაღალ საფეხურზე აყვანა, მისი ფართოდ გაშლა დიდ დახმარებას გაუწევს საბჭოთა ხალხს სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულების საქმეში.

## ალებულია 61.861 ჰექტარი პურეული

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობებით, 15 ივლისისათვის კოლმეურნეობებში აღებული იყო 61.861 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი, გეგმის 14,2 პროცენტი.

თბილისის ოლქში აღებულია 59.192 ჰექტარი პურეული (15,3%), ქუთაისის ოლქში — 2.637 (10,3%), აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 32 ჰექტარი (7,1%).

კომბაინით აღებულის ჩათვლით გალეწილია 45.402 ჰექტარის მოსავალი ანუ 73,4 პროცენტი.

## შეტეხილია 2.717.110 ზონარმეტრი თამბაქო

15 ივლისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებმა 2.717.110 ზონარმეტრი თამბაქო შეტეხეს, აქედან თბილისის ოლქში—1.189.573, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში—1.381.300, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 146.237 ზონარმეტრი.

## ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე პიეტრო ნენი

17 ივლისს ამხანაგი ი. ბ. სტალინი ესაუბრა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარეს პიეტრო ნენის. (საკდესი).

### აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

**ბაქო,** 17 ივლისი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დაამთავრა აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. პლენუმმა განიხილა საკითხები: მარცვლეული კულტურების აღებისა და დამზადების მსვლელობა და ბამბის ნათესების მოვლა; რესპუბლიკის ხელმძღვანელი კადრების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის მდგომარეობა.

აზერბაიჯანის პარტიულ ორგანიზაციას მორიგი ამოცანებისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ჯ. ბაგიროვმა.

განხილული საკითხების გამო მიღებულია გადაწყვეტილებანი.

### მიღება შრომითი რეზერვების სასწავლებლებში

ჩვენი ქვეყნის სახელოსნო, რკინიგზისა და სამთო მრეწველობის სასწავლებლებში დაიწყო მიღება ახალგაზრდობისა, რომელსაც სურს საწარმოო სპეციალობა შეიძინოს.

სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტროს ადგილობრივი სამმართველოები და სასწავლებლები ყველგან აწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადების, სასწავლებლებში ახალგაზრდების ცხოვრებისა და სწავლის შესახებ, აწყობენ ღია კარის დღეებს, მოსწავლეთა ნაწარმის გამოფენებს. რიაზანის, ტულის, ივანოვოს, ორიოლის, სარანსკის და სხვა ქალაქების კულტურისა და დასვენების პარკებში გაიმართა ახალგაზრდობის სეირნობა, მიძღვნილი ახალი შეკრებისადმი.

მორდვეთის ასსრ, სტავროპოლის მხარის, ოდესის, ტულის, ბრიანსკისა და სხვა ოლქების სასწავლებლებში გაცილებით მეტი განცხადება შემოვიდა, ვიდრე თავისუფალი ადგილებია. ერთ ადგილზე სამი განცხადებაა შეტანილი ომსკის ოლქის სასწავლებლებში.

ახალ სასწავლო წელს, რომელიც 1 სექტემბერს დაიწყება, სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტროს სასწავლებლები 154 სხვადასხვა პროფესიის მუშებს მოამზადებენ. (საკდესი).

### ქვის დამუშავების ახალი წესები

მთელ ჩვენს ქვეყანაში განთქმულია მოსკოვის მარმარილოს ქარხნის ნაკეთობანი. ამ ნაკეთობებით ამშვენებენ ტაშკენტისა და სვერდლოვსკის შენობებს, ყირიმისა და სოჭის სანატორიუმებს. ქარხანაში დამზადებული მარმარილოს ფილები, ფერადი ქვების მოზაიკური პანოები იხმარება მაღალი შენობებისა და მეტროს ახალი სადგურების მოსაპირკეთებლად.

ქარხნის კოლექტივს დიდ დახმარებას უწევენ მეცნიერები. ბოლო დრომდე ქვას ხერხავდნენ ჩარხებზე ფოლადის ზოლებით. სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის ქვის ლაბორატორიის მუშაკებთან თანამშრომლობით ქარხნის კოლექტივმა მსოფლიო პრაქტიკაში პირველად აითვისა მარმარილოსა და კირქვის დახერხვა სალი შენადნობებით. შრომის ნაყოფიერება ერთიხუთად-ერთიექვსად გადიდდა. ახალი წესით დამზადებულ იქნა 12 ათასი კვადრატული მეტრი ქვის ფილა მაღალი შენობისათვის, რომელიც წითელ კართან შენდება.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერები დაეხმარნენ ქარხნის მუშაკებს ქვის დამუშავების დროს მისი სიმაგრის შემცირების პრობლემის გადაჭრაში. ლაბორატორიულ პირობებში უკვე იპოვნეს შემრბილებლები, რომლებიც ამცირებენ ქვის სიმაგრეს გაჭრის ადგილებში. ცდებმა ცხადყო, რომ ამ წესით დამუშავებისას შრომის ნაყოფიერება 10-12 პროცენტით დიდდება.

მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამშრომლობის მეოხებით ქარხანაში მექანიზებულია ქვის დამუშავების ყველა პროცესის 75 პროცენტი. (საკდესი).

### ახალი პედაგოგიური ინსტიტუტები

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ 16 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება ახალი პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების მოწყობის შესახებ.

მომავალი სასწავლო წლიდან პედაგოგიური ინსტიტუტები შეიქმნება ყარაგანდასა და უსტ-კამენოგორსკში (ყაზახეთის სსრ).

პედაგოგიური ინსტიტუტი მოეწყობა აგრეთვე მოზირში (ბელორუსიის სსრ). ამავე დროს გროდნოს პედაგოგიური სასწავლებელი გადაკეთდება მუსიკალურ-პედაგოგიურ სასწავლებლად. (საკდესი).

## ვოლგა-დონის არხი გახსნის წინ

**სტალინგრადი,** 17 ივლისი. (საკდესი). დიდებულად აღმართულან ველზე ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის ჰიდროტექნიკური ნაგებობანი. შორს მოჩანს მზეზე მბრწყინავი რაბების კოშკები, სატუმბავი სადგურების კორპუსები, საბორნე გადასასვლელთა შენობები, რკინიგზისა და საავტომობილო ხიდების ფერმები. არხს ორივე მხრით ამშვენებენ შესასვლელი ტრიუმფალური თაღები და შუქურები.

ღამით არხის ტრასი არანაკლებ დიდებული სანახავია. შუქურების, სავზაო სიგნალებისა და სავდულთა ნიშნების სინათლე ერთვის არხისპირა დაბების, გასაჩერებელი პუნქტების სინათლეს.

ველზე განუწყვეტლივ გაისმის საბუქსირო და სამგზავრო გემებისა და თბომავლების საყვირის ხმა. ახლოვდება ყველა ხაზზე განრიგის მიხედვით გემების რეგულარული მოძრაობის გახსნის დღე.

— ჩვენს რაბებში უკვე გაიარა 250 გემმა, — მოგვითხრობს ჰიდრონაგებობათა ტუნდუტოვის რაიონის უფროსი ინჟინერი ვ. სავინოვი.

იგი ვოლგა-დონზე მოვიდა პირველ მემდინარეებთან ერთად ამა წლის გაზაფხულზე. ექსპლოატაციის სამმართველოს შექმნამდე ამხ. სავინოვი, ისე როგორც ბევრი სხვა, სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობდა რაბის მშენებლობაზე, მონაწილეობას იღებდა მოწყობილობის მონტაჟში. ამან მას საშუალება მისცა სწრაფად აეთვისებინა ახალი მექანიზმები, შეესწავლა არხის თავისებურებანი. ასეთია რაიონის ექსპლოატაციის დარგის ბევრი მუშაკის გზა. მერვე რაბის კოლექტივმა, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი ბორის პლაშკინი ხელმძღვანელობს, რაიონში პირველმა დაიწყო მექანიზმების ავტომატური მართვა. მეზობელ, მეცხრე რაბზე მთელ ელექტრომეურნეობას განაგებს ელენე კარპოვა, რომელმაც ლენინგრადის წყალტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ფაკულტეტი დაამთავრა. საწარმოო პროცესის მართვა აქაც ავტომატიკის საშუალებით ხორციელდება. არხის მომავალი გახსნის აღსანიშნავად სტახანოვური ვახტის დღეებში ინჟინერი კარპოვა და ამ რაბის ვახტების უფროსები ინარჩუნებენ პირველობას შეჯიბრებაში: მათ რაბვის პროცესი 14 წუთამდე შეამცირეს.

ერგენის მაღლობზე მდებარეობს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა წყალგამყოფი რაიონი, რომელშიც შედის მეათე რაბი, ვარვაროვკის სატუმბავი სადგური, ვარვაროვკის წყალსაცავი, კაშხალი და არხის უბანი. აქ სალდელი რაბვის პერიოდში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ვახტის უფროსებმა ს. ჟუკოვმა, ვ. ომელიანოვიჩმა და ნ. ბუკინმა, რომლებმაც რაბვის დრო 15 წუთამდე შეამცირეს.

მშენებლები და ექსპლოატაციის დარგის მუშაკები ემზადებიან ღირსშესანიშნავი დღისათვის. დღეს არხის მთელ ტრასზე დაინახავდით ათობით ბულდოზერს, სკრეპერსა და ექსკავატორს, რომლებიც ასწორებენ კალაპოტიდან ამოღებულ გრუნტს. მიმდინარეობს დამხმარე საწარმოთა და მიწისსათხრელი მანქანების დემონტაჟი, იღებენ დროებით ხის შენობებს, ამწვანებენ ჯებირებისა და რაბის უბნების ფერდობებს. ჰიდრონაგებობათა ჩაპურნიკის რაიონის კომკავშირელებმა დაბაში გააშენეს ხეხილის ბაღი, ხოლო არხის ნაპირზე, მერთხე რაბის მახლობლად, გააშენეს სკვერი.

კლუბებსა და წითელ კუთხეებში მზადდება პლაკატები, ტრანსპარანტები.

არხის გახსნის დღისათვის ამზადებენ ილუმინაციას. ჰიდრონაგებობებს რთავენ მრავალი ათასი ელექტრონათურით. სპეციალური პროექტის მიხედვით აფორმებენ უბანს, სადაც გაიმართება საზეიმო მიტინგი.

## ადამიანები, რომელთა შრომა მისაბაძია



## როგორ მუშაობს კომბაინერი ტიტვინიძე

ქარელის პურის ველებზე დიდი პოპულარობით სარგებლობს კომბაინერი იოსებ ტიტვინიძე და მისი აგრეგატი.

ამხ. ტიტვინიძე წარმატებით მართავს ველის ხომალდს—კომბაინს და ყოველწლიურად მნიშვნელოვანი გადამეტებით ასრულებს მოსავლის აღების გეგმას. ახლა ის კომბაინ „სტალინეც-6" აგრეგატს უდგას სათავეში და ქარელის რაიონის სოფელ რუისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ფართობებზე უდანაკარგოდ იღებს ბარაქიან მოსავალს.

გუშინ ჩვენ სოფელ რუისის კუპრიკის ნაკვეთში გავეცანით ამ შრომისმოყვარე და თავისი საქმის ღრმა მცოდნის აგრეგატის მუშაობას.

— ჩვენი აგრეგატი დროულად მოემზადა პურეულის ასაღებად, — გვითხრა კომბაინერმა. — ის სრულად არის დაკომპლექტებული. ჩემს გვერდით მუშაობენ მეშტურვალე ივანე ბუზიაშვილი და ტრაქტორისტი გ. გოგიჩაშვილი. წითელწყაროელ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა მოწოდების პასუხად ჩვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავებით; ვიკისრეთ მთელ სეზონში მოსავლის უდანაკარგოდ აღება 450 ჰექტარზე.

წარჩინებული კომბაინერი წარმატებით შეუდგა თავისი სიტყვის განაღდებას; ის ძალასა და ენერგიას არ ზოგავს უხვი მოსავლის სწრაფად აღებისათვის; ზუსტად, რიტმულად მუშაობს მისი აგრეგატი. შედეგიც დიდებულია: ი. ტიტვინიძემ უკვე მომკა 120 ჰექტარი ხორბალი და დღითიდღე ადიდებს შრომის ნაყოფიერებას. ასე, მაგალითად, მან 16 ივლისს მოსავალი 15 ჰექტარზე აიღო, 17 ივლისს — 19 ჰექტარზე, ხოლო 18 ივლისს — 20 ჰექტარზე.

მკის ტემპის გაძლიერებასთან ერთად ამხ. ტიტვინიძე უდიდეს ყურადღებას აქცევს მოსავლის აღების ხარისხს. აგრეგატის მთელი კოლექტივი გამსჭვალულია ერთი აზრით — მოსავალი ისე აიღოს, რომ არ დაკარგოს არც ერთი თავთავი, სავსებით აღკვეთოს დანაკარგი. მას კარგად აქვს შეგნებული, რომ ყველაზე პასუხსაგები საქმე მარცვლეულის მეურნეობაში მოსავლის აღებაა.

რით აღწევს წარმატებას ი. ტიტვინიძე და მისი აგრეგატი?

უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ამხ. ტიტვინიძე კარგად არის დაუფლებული კომბაინის საქმის ტექნიკას, საუკეთესოდ უვლის მანქანას. აგრეგატის კოლექტივში მაღალია შრომის დისციპლინა, დიდად აფასებენ დროის ფაქტორს. აქ მტკიცედ არის დანერგილი შრომის ისეთი მოწინავე მეთოდი, როგორიცაა საათობრივი გრაფიკით მუშაობა. გრაფიკს აქ ყოველდღიურად ადგენენ, მხედველობაში იღებენ პურეულის სიხშირეს, ასაღები ყანის რელიეფს.

აგრეგატის კოლექტივს შრომის ნაყოფიერების გადიდებაში დიდად უწყობს ხელს სტახანოვური გეგმა-მარშრუტი, რომელშიც ზუსტად არის გათვალისწინებული მუშაობის ყოველი წვრილმანიც კი.

ამხ. ტიტვინიძის გამოცდილება იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მან შესანიშნავად მოაწყო მუშაობა დანაკარგის ასაკვეთად. კომბაინს გაკეთებული აქვს მარცვალმჭერები. ზოგან პური ჩაწოლილია. ეს ართულებს მუშაობას. მაგრამ კომბაინერის ოსტატობა აქაც გამოჩნდა. ამხ. ტიტვინიძემ კომბაინს გაუკეთა სპეციალური მოწყობილობა ჩაწოლილი პურეულის ასაღებად. კომბაინი „სტალინეც-6" სრულყოფილი მანქანაა. მიუხედავად ამისა, ამხ. ტიტვინიძემ დანაკარგის ასაკვეთად ხვავის ტრანსპორტიორს ქვემოდან ტილო შემოაკრა და ამით მარცვლის დაბნევის ყველა ხვრელი ჩაკეტა.

სოფელ რუისის კოლმეურნეობის პური სქელი და მაღალია. ჰექტარზე კომბაინერი 20 ცენტნერს ლეწავს. მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებმა განაცხადეს, რომ კუპრიკას ნაკვეთი წინათ მცირემოსავლიანი იყო.

მძლავრი ტექნიკის, მოწინავე საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების გამოყენებით ეს მინდვრები სრულმოსავლიანი გახდნენ და წელს ისეთ მოსავალსაც კი იღებენ, რაც ამ ადგილას დიდი ხანია არ ყოფილა.

ამხ. ტიტვინიძე დილით 5 საათზე უკვე მანქანასთან არის, სრულ წესრიგში მოჰყავს იგი და 7 საათზე მკას იწყებს. მთელი აგრეგატი საღამოს 10 საათამდე და ზოგჯერ უფრო გვიანაც შეუფერხებლივ მუშაობს. ეს არის სტახანოვური აგრეგატი, მისი გამომუშავება მაღალია; მან არ იცის შეფერხება მუშაობაში.

ამხ. ტიტვინიძის კომბაინზე ახლა წითელი დროშა ფრიალებს. ამის შესახებ ნოვატორმა კომბაინერმა სიხარულით გვიამბო:

— ჩვენს აგრეგატს 17 ივლისს რაიონის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა, ვინაიდან ამჟამად მოსავლის აღებაში პირველი ადგილი გვიკავია. კიდევ უფრო ნაყოფიერად ვიმუშავებთ და დროშას ხელიდან არ გავუშვებთ.

წარჩინებული კომბაინერის სიტყვა მტკიცე სიტყვაა. აგრეგატის კოლექტივის შემოქმედებითი შრომა იმის საწინდარია, რომ ის კომბაინერთა შეჯიბრებაში პირველობას არ დათმობს.

კომბაინერი ტიტვინიძე სტალინური ეპოქის იმ შესანიშნავ ადამიანებს ეკუთვნის, რომლებსაც შესწევთ უნარი აითვისონ და ხელოვნების მთელი ოსტატობით გამოიყენონ მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ამხ. ტიტვინიძის მუშაობის შესანიშნავი მეთოდი ფართოდ უნდა გავრცელდეს.

**თ. კუნჭულია,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

* * *

**სურათზე:** კომბაინერი ი. ტიტვინიძე.
ფოტო ვ. განზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

# ერთი საანგარიშო-საარჩევნო კრების შესახებ

თავის საანგარიშო მოხსენებაში თბილისის ქარხანა „დაზგის" პარტბიუროს მდივანმა ამხ. პ. გუგუშვილმა დაწვრილებით ილაპარაკა ქარხნის კოლექტივის მიღწევებზე, ვრცლად შეეხო აგრეთვე ჩვენი ქვეყნის საშინაო ვითარებას, კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებს. ყველაფერი ეს კრების მონაწილეთათვის ინტერესს როდი იყო მოკლებული, მაგრამ მათ დიდად აინტერესებდათ მოესმინათ იმის შესახებაც, თუ საანგარიშო პერიოდში პარტიული ბიურო როგორ იბრძოდა შინაპარტიული მუშაობის მაღალ დონეზე მოწყობისათვის, როგორ ეხმარებოდა ქარხნის კოლექტივს საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებაში, რა მუშაობას ეწეოდა იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რაც ქარხანას ჰქონდა და ჯერ კიდევ აქვს.

სამწუხაროდ, მომხსენებელმა ამ საკითხებზე ძლიერ ძუნწად და უფერულად ილაპარაკა.

კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაცია და მისი ბიურო საჭირო ყურადღებას არ აქცევდნენ კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეს.

პარტიულმა ბიურომ, — აღნიშნეს კომუნისტებმა, — პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დაწყებისას ანგარიში არ გაუწია კომუნისტების სურვილს, და იმის ნაცვლად, რომ ადგილზე შეექმნა პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე, არჩია კომუნისტების დიდი ნაწილი მეზობელი ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ წრესა და პოლიტსკოლაში ჩაერიცხა. ამასთან პარტიულ ბიუროს მთელი სასწავლო წლის მანძილზე ერთხელაც არ შეუსწავლია, თუ როგორ მუშაობდნენ კომუნისტები თავიანთი იდეური დონის ასამაღლებლად, არ დახმარებია მათ.

განსაკუთრებით ცუდად იყო დაყენებული წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებისადმი დახმარება. თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად დანიშნული ლექციები და კონსულტაციები სისტემატურად იშლებოდა. ისეთი შემთხვევაც კი იყო, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ლექტორმა მ. კანტერემ სპეციალური დარბაზის უქონლობა მოიმიზეზა და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებთან ლექციის წაკითხვაზე ქარხანაში უარი განაცხადა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიული ბიურო სერიოზულ დახმარებას უწევდა კომკავშირულ ორგანიზაციას, ეხმარებოდა მას ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდაში. მაგრამ კრების მსვლელობის პროცესში გამოირკვა, რომ ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა მოწოდების სიმაღლეზე არ იდგა. კომკავშირული კრებები არაორგანიზებულად და დაბალ იდეურ დონეზე ტარდება, მივიწყებულია ფიზკულტურული მუშაობა. შრომის დისციპლინის დამრღვევთა შორის უმეტესობა კომკავშირელები იყვნენ.

მომხსენებლის მიერ უსაფუძვლოდ იყო შექებული აგრეთვე ბიუროს მუშაობა პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების საქმეში.

კრებაზე აღინიშნა, რომ ქარხანაში ფართოდ არის გავრცელებული იერიშობანა, ყურადღება არ ექცევა რიტმული მუშაობის დანერგვას, არასაკმაოდ ზრუნავენ წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, ზოგჯერ კუსტარულად მუშაობენ, არ იცავენ ტექნოლოგიას, დაბალია გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

გამოირკვა, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე მართალია იხილავდნენ პარტიული მუშაობისა და წარმოების საჭირბოროტო საკითხებს, იღებდნენ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ყველაფერი ეს ფორმალურ ხასიათს ატარებდა. არ იბრძოდნენ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის, ბოლომდე არ მიჰყავდათ დაწყებული საქმე, ძლიერ ცუდად იყო დაყენებული შესრულების შემოწმება.

პარტიულ კრებაზე გაბედული კრიტიკით გამოვიდა მექანიკური საამქროს უფროსი ბ. ჩახუნაშვილი და სარემონტო საამწყობო საამქროს უფროსი კ. ალანია. მათ მკაცრად გააკრიტიკეს ქარხნის ადმინისტრაცია იმისათვის, რომ იგი დროულად არ ამარაგებდა საამქროებს საჭირო მოწყობილობითა და მასალებით, უგულებელყოფდა მათდამი დახმარების საქმეს.

ადმინისტრაცია, — თქვეს მათ, — არავითარ დახმარებას არ გვიწევს შრომის აღრიცხვის მოგვარებაში. ჩვენ იმის პირობებიც კი არა გვაქვს შექმნილი, რომ ზუსტად აღვრიცხოთ, თუ ვინ როგორი ხარისხისა და რა რაოდენობის პროდუქცია გამოუშვა. ნორმებიც კი არა გვაქვს იმისათვის, რომ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია სხვა სახის პროდუქციისაგან განვასხვავოთ. მოუწესრიგებელია შრომის ანაზღაურებაც. კონსტრუქტორთა ბიუროს მუშაობა თვითდინებაზეა მინდობილი. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უხეირო მუშაობის შესახებ მათ მრავალი კონკრეტული მაგალითი დაასახელეს.

ჩახუნაშვილისა და ალანიას გამოსვლის შემდეგ სიტყვა ქარხნის დირექტორმა ა. ბოკერიამ აიღო. თავისი სიტყვა მან ძირითადად კრებაზე ქარხნის ადმინისტრაციის კრიტიკით გამოსული კომუნისტების წინააღმდეგ მიმართა.

— ქარხნის ადმინისტრაცია, — განაცხადა ამხ. ბოკერიამ, — ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს იმისათვის, რომ კოლექტივი უნაკლოდ მუშაობდეს. ცალკეულ ნაკლოვანებათა არსებობაში, რასაც ქარხანაში ვხვდებით, ბრალი მიუძღვით საამქროთა უფროსებს, რომლებსაც კრებაზე კრიტიკულად გამოსვლა უფრო შეუძლიათ, ვიდრე საქმის კეთება, — თქვა მან. ამხ. ბოკერიას აშკარად ემჩნეოდა, რომ კრებაზე კრიტიკული შენიშვნებით გამოსულ ამხანაგებთან ანგარიშის გასასწორებლად გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ ამხანაგ ბოკერიას სიტყვის შემდეგ კამათი შეწყდა.

კრებას ესწრებოდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. დ. ჭახრაკია. კრების დასასრულს მან სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ რატომღაც საჭიროდ არ ჩათვალა შენიშვნა მიეცა ქარხნის დირექტორისათვის კრიტიკისადმი არაბოლშევიკური დამოკიდებულების გამო.

კ. სიხარულიძე.

# რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად

## ვალდებულებას გადაჭარბებით ასრულებენ

**ხაშური.** (საკ. კორ.). საელმავლო დეპოს კოლექტივმა გასულ ექვს თვეში მატარებლების გარბენის საშუალო სადღეღამისო დავალება ნორმასთან შედარებით 14 კილომეტრით გაზარდა, ტექნიკური სიჩქარე საათში 2 კილომეტრით გაადიდა, გეგმის გადამეტებით გადაზიდა 32.485 ტონა ტვირთი და ხუთ თვეში გასწია 294.236 მანეთი ეკონომია. გარდა ამისა, დეპოელებმა ივნისში აწევითი გეგმიანი შეკეთებიდან გამოუშვეს ორი ელექტრომავალი. თვითეული ელმავალი შეკეთებულ იქნა სამ დღეში ნაცვლად ხუთისა.

მძიმე წონის მატარებლების უწუნოდ და უავარიოდ ტარებისა და ტვირთების გადაზიდვის საქმეში განსაკუთრებით დაწინაურდა მემანქანე შოთა ბოლოკაძე. მან ექვს თვეში გეგმის გადამეტებით გადაზიდა 2.386 ტონა ტვირთი. მემანქანე მ. ტყეშელაშვილმა გეგმის გადამეტებით გადაზიდა 2.379 ტონა ტვირთი. გ. გოგოლაძემ — 1.652 ტონა, ვ. კიკნაძემ — 1.200 ტონა, ხოლო ი. ლაბაძემ 1.464 ტონა.

ნახევარი წლის საწარმოო დავალებები 150-200 პროცენტით გაანაღდეს აგრეთვე დეპოს ზეინკლებმა ი. დავითაძემ, ბ. მაცხონაშვილმა, ზ. ელისაშვილმა, ი. ნოზაძემ, ს. პაპუაშვილმა, შემდუღებელმა ა. ქურდაძემ, ხარატმა ა. გიგუაშვილმა და სხვებმა.

რკინიგზელის სტალინური დღისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და ნახევარი წლის საწარმოო დავალებები გადაჭარბებით გაანაღდეს აგრეთვე საორთქლმავლო და სავაგონო დეპოების კოლექტივებმა.



თბილისის საელმავლო დეპო. **სურათზე:** მოძრაობის საამქროს ბრიგადირი ნ. გოჩიაშვილი (ზევით) და ზეინკალი გ. ლაბაძე ელექტრომავლის შეკეთებაზე. ისინი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ რკინიგზელის სტალინური დღის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

## ახალგაზრდა მეორთქლმავლეთა წარმატება

თბილისის საორთქლმავლო დეპოს ახალგაზრდა მემანქანეები ბეჯითად შრომობენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ რკინიგზელის სტალინურ დღეს. ივნისში კარგი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა ორთქლმავლის შემკეთებელთა მესამე კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც სტახანოველი ს. არუთინოვი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ გარეცხვითი შეკეთებიდან თვიური გეგმის გადამეტებით 5 ორთქლმავალი გამოუშვა. ამ ბრიგადაში ორი თვეა მუშაობა დაიწყო კომკავშირელმა ვ. კოხტაშვილმა. ბეჯითი ახალგაზრდა სწრაფად დაეუფლა საზეინკლო საქმეს, მალე დამოუკიდებლად შეუდგა მუშაობას და ამჟამად დღიურ ნორმას 150 პროცენტით ასრულებს.

სამსხმელო საამქროს სტახანოველმა ზ. ნატროშვილმა წლიური გეგმა 5 თვეში შეასრულა და ამჟამად ნორმას სისტემატურად 350 პროცენტით ანაღდებს. მან ლითონსხმის საქმე უმოკლეს ვადაში შეასწავლა ახალგაზრდა მუშას ვ. ბუთხუზს. კომკავშირელი ვ. ბუთხუზი სტახანოველ ნატროშვილის დახმარებით ისე დახელოვნდა, რომ ყოველდღიურ დავალებას უკვე 150 პროცენტით ასრულებს.

კომკავშირული სამანევრო ორთქლმავლის უფროსი მემანქანე დავით ცაბირაშვილი გადაჭარბებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. ივნისში მან 5.651 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად ნაყოფიერად მუშაობს მესამე სავაგონო უბნის კოლექტივიც. მევაგონეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან კომკავშირელი ზეინკლები — ა. აბუაშვილი, ვ. გასპარიანი, დურგლები ო. არსენიძე, ვ. ძურძუკი, რომლებმაც ერთ დღეში მოასწრეს ვაგონის მაღალხარისხოვნად შეკეთება და დღიური დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. მტვიფრავი ვ. მელაძე ნორმას სისტემატურად 200 პროცენტით ასრულებს, ხოლო ზეინკალი გ. გეგეშიძე დღეში სამ ნორმას იძლევა.

ი. ნუცუბიძე.

## ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება

რკინიგზის შორაპნის კვანძის საწარმოებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ ახალი საწარმოო წარმატებებით აღნიშნონ რკინიგზელის სტალინური დღე.

შორაპნის საორთქლმავლო დეპო ბათუმის საორთქლმავლო დეპოს ეჯიბრება. შორაპნელმა მეორთქლმავლეებმა ივნისში მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს. ორთქლმავლების სადღეღამისო გარბენის გეგმა 4,7 კილომეტრის გადაჭარბებით შეასრულეს, ტექნიკური სიჩქარე საათში 1,3 კილომეტრით გაადიდეს, გადაიყვანეს მძიმე წონის 20 მატარებელი და გეგმის გადამეტებით გადაზიდეს მრავალი ასეული ტონა ტვირთი. მარტო ივნისში დეპომ 56,276 კილოგრამი საწვავი მასალა დაზოგა. ივნისში გეგმის გადამეტებით გარეცხვითი შეკეთებიდან გამოშვებულია 4 ორთქლმავალი, ხოლო მოხარატებითი შეკეთებიდან — ერთი.

ცალკეული საორთქლმავლო გუნდებიდან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას წარმატებით ანაღდებენ გუნდები, რომელთა უფროსი მემანქანეები არიან: გ. თურმანიძე, დავით და ივანე კვინიკაძეები, გ. ჯანგიანი, კ. შუღლაძე, ვ. შველიძე, პ. ფერაძე, ა. ქამუშაძე.

სავაგონო დეპომ ვაგონების შეკეთების ნახევარი წლის გეგმა 100 პროცენტით გაანაღდა, შეკეთებული ვაგონების 71,6 პროცენტმა მაღალი შეფასება მიიღო. დურგალი ე. სხილაძე ყოველთვიურ გეგმას 196 პროცენტით ასრულებს, ელექტროშემდუღებელი ა. ჭაბუკიანი — 200 პროცენტით, მჭედელი ი. კვანტრიშვილი — 143 პროცენტით, ხარატი მ. ბუხრაშვილი — 270 პროცენტით, ზეინკალი მ. მაჭავარიანი — 218 პროცენტით.

უნდა აღინიშნოს, რომ შორაპნის სავაგონო დეპოს კოლექტივი დღემდე სამარცხვინოდ ჩამორჩებოდა ვაგონების შეკეთების დროის შემცირების საქმეში. გეგმით გათვალისწინებულია, რომ წლიურ შეკეთებაში ვაგონი 8 საათს უნდა იდგეს, აქ კი ივნისში თვითეული ვაგონის წლიურ შეკეთებას 34 საათი მოანდომეს. ვაგონების საშუალო შეკეთებაზე გეგმით 2 დღეა გათვალისწინებული, შორაპანში კი ამ საქმეს საშუალოდ 11 დღეს უნდებიან. კაპიტალურ შეკეთებაში ვაგონი 3 დღეზე მეტი არ უნდა დადგეს, აქ კი საშუალოდ 7 დღეს დგას.

რკინიგზის შორაპნის კვანძი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვანძია ამიერკავკასიის რკინიგზაზე. კვანძის სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

ს. მუმლაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი

რკინიგზელის სტალინური დღის საამაყო მაჩვენებლებით შეხვედრისათვის აბაშის სადგურის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ქვალონისა და ჭალადიდის სადგურების კოლექტივებთან და ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრა. ამ ვალდებულებათა გასანაღდებლად სადგურში ენერგიულად მუშაობენ. დატვირთვა-გადმოტვირთვის ივნისის გეგმა სადგურმა გადაჭარბებით შეასრულა, გეგმის გადამეტებით ათობით ვაგონი დატვირთა და ვაგონების ბრუნვა დააჩქარა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სადგურის მორიგეები დ. იობაია და მ. თოფურია, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ. მეისრეები ფილიმონ ბოლქვაძე, ლევან და ივანე კაჭარავები საამაყო მაჩვენებლებით ხვდებიან რკინიგზელის სტალინურ დღეს — საისრე მეურნეობა სანიმუშო მდგომარეობაში აქვთ.

აბაშის სადგურის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ივლისის გეგმა 150 პროცენტით შეასრულოს და ენერგიულად იბრძვის მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის ზუსტად შესასრულებლად, უწუნო, უავარიო მუშაობის უზრუნველსაყოფად.

ი. ბუხაიძე.

## 106 ათასი მანეთის პროდუქცია გეგმის ზედმეტად

თბილისის [illegible]-რალ-მანქანების ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის საწარმოო დავალება და ექვსი თვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 106 ათასი მანეთის მზა პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 12 პროცენტით, თვითღირებულება შემცირებულია 6,5 პროცენტით.

საუკეთესო შედეგები მოიპოვეს საზეინკლო (უფროსი მ. ხვადაგიანი) და ამწყობმა (უფროსი გ. სარჩიმელია) საამქროებმა. კომკავშირელი ზეინკალი ა. ხიზანიშვილი ცვლაში სამი კულტივატორის ნაცვლად სისტემატურად ხუთს აწყობს. ახალგაზრდა ზეინკალი ვ. ტაბლიაშვილი 100 დეტალის ნაცვლად 150-180 დეტალს ამზადებს.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა სტალინური კონსტიტუციის დღისათვის — 5 დეკემბრისათვის შეასრულოს.

## სეზონურობის დაძლევა აგურის წარმოებაში

**რუსთავი.** (საკ. კორ.). ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის აგურ-ბეტონიტის კომბინატის სპეციალისტთა ჯგუფმა შეიმუშავა და განახორციელა აგურის წარმოებაში სეზონურობის დაძლევის ნოვატორული მეთოდი. აღნიშნული მეთოდით სააგურე თიხას ზელავენ წყალში, რომელსაც წინასწარ მცირე რაოდენობით ურევენ 31-პროცენტიან ტექნიკურ მარილმჟავას. ამ გზით მიღებული თიხისაგან დამზადებული ნედლი აგური ზამთარშიც ადვილად შრება ბუნებრივ საშრობში. ამასთან ასეთი საშუალებით მიღებული აგური დაზღვეულია მავნე ქიმიური ნარევების გაჩენისაგან, მექანიკურად უფრო მკვრივი და გამძლეა.

მეორე წელია, რაც მეტალურგმშენის ტრესტის აგურ-ბეტონიტის კომბინატის კოლექტივი აღნიშნული მეთოდით მუშაობს და აგურს მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად ამზადებს. ახლებურად მუშაობის შედეგად შესამჩნევად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, 1951-52 წლების მარტო ზამთრის პერიოდში კომბინატმა გამოუშვა 2 მილიონ ცალზე მეტი წითელი აგური. ამასთან მნიშვნელოვნად შემცირდა ადმინისტრაციულ-ზედნადები ხარჯები და გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

## ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მიღწევა

ქარელის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა 167 პროცენტით შეასრულა, ამასთან დაიცვა გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის ასორტიმენტი.

ნაყოფიერად იმუშავა მეჩექმეთა საამქრომ ი. ბააზოვის ხელმძღვანელობით. ამ საამქრომ ახალი ფეხსაცმლის გამოშვების 6 თვის გეგმა 186 პროცენტით გაანაღდა.

კარგად იმუშავა აგრეთვე კომბინატის საავეჯო საამქრომ, რომელმაც ავეჯის გამოშვების გასული 6 თვის დავალება 414 პროცენტით შეასრულა.

გ. გოგიჩაშვილი,
რაიონულ გაზეთ „ქარელის კოლმეურნის" რედაქტორი.

# საბჭოთა დაწესებულების პარტიული ორგანიზაცია

„პრავდის" 18/VII მოწინავე

საბჭოთა აპარატი დიდ როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. საბჭოთა აპარატის ძალა ის არის, რომ იგი განუყრელად დაკავშირებულია ხალხთან, კი არ ემიჯნება მშრომელებს, არამედ ეყრდნობა მათ მთელ თავის მუშაობაში.

კომუნისტური პარტია ყოველდღიურ ყურადღებას აქცევს საბჭოთა აპარატის განმტკიცებას, მისი მაორგანიზებელი როლის გაძლიერებას, ზრუნავს იმისათვის, რომ საბჭოთა აპარატი ყოველთვის იყოს მის წინაშე მდგომი ამოცანების სიმაღლეზე. საბჭოთა აპარატში თავმოყრილი არიან სპეციალისტების, მეცნიერი და სხვა მუშაკების მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას.

საბჭოთა აპარატის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ერთგულება პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებისადმი, მაღალი იდეურობა, სიმართლე, იმის უნარი, რომ აკურატულად, სწრაფად იმუშაოს, გულდასმით შეარჩიოს და განავითაროს ძვირფასი ყლორტები ახლის და მოწინავისა, რასაც მასების შემოქმედებითი ინიციატივა წარმოშობს.

საბჭოთა აპარატის მუშაობაში დიდ როლს ასრულებენ საბჭოთა დაწესებულებების პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნის წინათ ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა მუდამ იდგნენ ჩვენს დაწესებულებებში ნამდვილი წესრიგის სადარაჯოზე.

**„უნდა მივაღწიოთ იმას, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომ საბჭოთა უჯრედი ცხოვრობდეს მთელი პარტიის ცხოვრებით, რომ იგი ეხმარებოდეს პარტიას — გააუმჯობესოს, უფრო გაამარტივოს და მოსახლეობას დაუახლოოს საბჭოთა და სამეურნეო აპარატი, გახადოს იგი პატიოსანი და მომჭირნე".**

პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მუდამ ახსოვდეთ, რომ პასუხისმგებელი არიან საბჭოთა აპარატის მუშაობისათვის, იყვნენ აპარატში ნამდვილი წესრიგის დამცველნი, გამოიჩინონ ბოლშევიკური შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რასაც კი შეუძლია ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს ინტერესებს.

ახლა საბჭოთა დაწესებულებების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, ისევე როგორც სამრეწველო საწარმოთა და კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებში, მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებები. ამ კრებებზე აჯამებენ გაწეული მუშაობის შედეგებს, განაზოგადებენ შეძენილ გამოცდილებას, ააშკარავებენ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, სახავენ პარტიული ორგანიზაციების მთელი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებებს. კრებები კომუნისტების დიდი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ეწყობა.

საბჭოთა დაწესებულებების კომუნისტები თავიანთ კრებებზე განიხილავენ პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს აპარატის ზუსტი, სანიმუშო მუშაობისათვის, ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინების აღმოფხვრისათვის ბრძოლაში, საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის უაღრესად მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით ყველა მოსამსახურის აღზრდისათვის ბრძოლაში.

ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკის ნიშნით ჩაიარა ამ დღეებში, მაგალითად, რუსეთის სფსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ. პარტკომი და ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია, როგორც კრებაზე აღინიშნა, სუსტად რაზმავდნენ კოლექტივს მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ მთავრობის მითითებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად. კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა სამინისტროს მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკების მისამართით. აღინიშნა, რომ ისინი ცუდად მუშაობდნენ აპარატში კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებზე. კომუნისტებმა საფუძვლიანად განიხილეს პარტკომის მუშაობა, შეიტანეს წინადადებანი, რომელთა მიზანია სამინისტროს აპარატის მუშაობის გაუმჯობესება.

საბჭოთა აპარატის საქმიანობის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა კადრების სწორი შერჩევა და განაწილება. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იბრძოლონ კადრების შერჩევის ბოლშევიკური პრინციპის—მათი პოლიტიკური და საქმიანი ნიშნებით შერჩევის პრინციპის მტკიცედ დაცვისათვის, დაუცხრომლად აუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა, გამოაწრთონ კადრები იდეოლოგიურად, ხელი შეუწყონ მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი დაწესებულების პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს, მათს პოლიტიკურ აღზრდასა და გამოწრთობას. კადრების შერჩევისადმი არასაკმაო ყურადღების შედეგად ზოგიერთი დაწესებულებების აპარატში იპარებიან შემთხვევითი, შეუმოწმებელი ადამიანები. მაგალითად, სწორედ ასე მოხდა „გიპრომეზის" დნეპროპეტროვსკის ფილიალში, სადაც მმართველია ამხ. როზენშტრახი და მთავარი ინჟინერი ამხ. ტონკონოგი. აქ კადრების შერჩევა ხდებოდა არა მათი საქმიანი და პოლიტიკური თვისებების მიხედვით, არამედ მეგობრობა-ნათესაობის საფუძველზე. ამის შედეგად ძირითადი თანამდებობანი ამ დაწესებულებაში ეკავათ ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთის მეგობრები და ნათესავები იყვნენ. ეს ხელს უშლიდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას და გამოიწვია სერიოზული ნაკლოვანებანი ფილიალის მუშაობაში.

საბჭოთა დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ყოველთვის უნდა იყოს პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მხედველობის არეში, ეს მუშაობა მათი მუდმივი ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს. ამავე დროს პარტიის ზოგიერთი საქალაქო კომიტეტი და რაიკომი საკმაოდ არ სწვდება დაწესებულებებში პარტიული მუშაობის არსს, არ ახორციელებს ყოველდღიურ ხელმძღვანელობას პარტიული ორგანიზაციებისადმი. მაგალითად, პარტიის ირკუტსკის საქალაქო კომიტეტი ნაკლებად აქცევს ყურადღებას ქალაქის საბჭოთა დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციებს, ინტერესს არ იჩენს მათი შინაპარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისადმი. ამ უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა მხოლოდ ერთი საბჭოთა დაწესებულების პარტიული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი. მიმდინარე წლის დამდეგს საქალაქო კომიტეტმა შეადგინა დაწესებულებათა და სასწავლებელთა პარტორგანიზაციების მდივნების კვალიფიკაციის ამაღლების დაწვრილებითი გეგმა. მაგრამ ეს გეგმა არ შესრულებულა.

სუსტად არის დაყენებული ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ჩერნოვიცის ოლქის საბჭოთა დაწესებულებების მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში. ჩერნოვიცის საქალაქო კომიტეტი დაწესებულებათა პარტიულ ორგანიზაციებს არ ეხმარება შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის ბრძოლაში, იმისათვის ბრძოლაში, რომ აამაღლონ თვითეული მოსამსახურის, უწინარეს ყოვლისა თვითეული კომუნისტის, პასუხისმგებლობის გრძნობა სამშობლოს წინაშე მოვალეობის შესრულების საქმეში. ამის შედეგად ჩერნოვიცის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს პარტიული ორგანიზაცია, ისევე როგორც ქალაქის მთელი რიგი სხვა დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციები, გადამწყვეტ ზომებს არ იღებს აპარატში მტკიცე წესრიგის დასამყარებლად. აქ იშვიათი როდია ფაქტები, რომ მუშაკები ფორმალურად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას.

ბეჯითად ვაუმჯობესოთ საბჭოთა დაწესებულებების მუშაობა—ეს იმას ნიშნავს, რომ შეურიგებლად ვებრძოლოთ დახავსებულობისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებებს, ვაწარმოოთ აპარატში ყოველდღიური ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა. პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუცხრომლად უნდა იზრუნონ საბჭოთა მოსამსახურეების პოლიტიკური ჰორიზონტის გაფართოებისათვის, ეცადონ მიაღწიონ იმას, რომ თვითეულ მუშაკს კარგად ჰქონდეს შეგნებული თავისი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, რომ იგი ბოლშევიკურ პრინციპულობასა და სიფხიზლეს იჩენდეს მუშაობაში, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უდგებოდეს დიდი და მცირე საკითხების გადაწყვეტას.

საბჭოთა დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს კომუნისტების კრებების რეგულარულად მოწყობას. ამ კრებებზე სისტემატურად უნდა განვიხილოთ აპარატში პარტიული ცხოვრებისა და კომუნისტების მუშაობის საჭირბოროტო საკითხები, უფრო გაბედულად გავაჩაღოთ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. რაც უფრო მაღალი იქნება თვითეულ საბჭოთა დაწესებულებაში პარტიული მუშაობის დონე, მით უფრო წარმატებით განახორციელებს იგი სახელმწიფო დავალებებს, განახორციელებს პარტიის პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს წარმოადგენს.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა უფრო ღრმად უნდა შეისწავლონ და განაზოგადონ პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკა, გაუწიონ მათ ყოველდღიური დახმარება. საბჭოთა დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობის დონის ამაღლება, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისათვის კომუნისტების და ყველა საბჭოთა მოსამსახურის ძალების მობილიზაცია იმის ერთ-ერთი პირობაა, რომ წარმატებით ვიბრძოლოთ სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გავაძლიეროთ ჩაის კრეფა, არ დავუშვათ ფოთლის გაუხეშება

## ჩაის განუწყვეტლივ არ კრეფენ

ჩაის კრეფის საქმეში ცხაკაიას რაიონი მკვეთრად ჩამორჩა. ფოთლის კრეფის წლიური გეგმა სანახევროდაც არ არის შესრულებული. რაიონში თავიდანვე სერიოზული ყურადღება არ მიექცა ჩაის კრეფისათვის მზადების საკითხს, პლანტაციებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად განხორციელებას. სოფელ უშაფათის კოლმეურნეობამ ივლისში ყოველდღიურად უნდა მოკრიფოს 4 ტონაზე მეტი ჩაი, მაგრამ კრეფს 1,5-1,7 ტონას. ივლისში ფოთოლი კარგად არის შემოსული, მაგრამ განუწყვეტელი კრეფა ყველგან არ არის დანერგილი. 7 ივლისს იმ ნაკვეთებში, რომლებიც მოსავლელად მიჩენილი აქვთ დ. სიჭინავას, გ. მირგატიას და თ. გოგინავას, ჩაის კრეფდა მხოლოდ ერთი მკრეფავი. 6 ივლისს მეორე ბრიგადის წევრი თ. გოგინავა ჩაის კრეფდა ფქვილით დასვრილ ტომარაში, რის გამო დაზიანდა ფოთოლი. ასეთი უდარდელობა შეუწყნარებელია.

ჩამორჩენილია სოფელ ფოცხოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა. აქაც არ არის გამოყენებული მკრეფავთა მთელი ძალები. ყოველდღიური კრეფის მოუწყობლობის გამო არის ფოთლის გაუხეშების ფაქტები. კოლმეურნეები ჭ. ტორჩინავა, წ. ხარებავა, ნ. მურღულია, მ. ჭავა, ქ. ტორჩინავა, ნ. შამათავა სისტემატურად აცდენენ სამუშაოს, მათ პასუხს არავინ სთხოვს.

პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის დახმარება ამ კოლმეურნეობისადმი იმით გამოიხატა, რომ იქ „მუდმივ წარმომადგენლად" გაიგზავნა რაისაბჭოს აღმასკომის სოფლისა და საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილების გამგე ამხ. ა. ქვანია. აღსანიშნავია, რომ ეს განყოფილება თვითონ არის დასახმარებელი — შეუსრულებელი აქვს კოლმეურნეობებში მეაბრეშუმეობის კაპიტალური ბინების მშენებლობის გეგმები.

ჩაის კრეფის წესებს არღვევენ სოფელ ბეთლემის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. მესამე ბრიგადაში (ხელმძღვანელი მ. ლაკია) ერთ დღეს მოკრეფილ 80 კილოგრამ ფოთოლში ერია გვიმრა, თხმელის ფოთლები და ეკლის ყლორტები. ამ კოლმეურნეობაში არის ფოთლის გაუხეშების შემთხვევებიც.

სამარცხვინოდ ჩამორჩებიან სოფელ ნაქალაქევის კოლმეურნეობები. ამ სოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე ქალი არ არის გამოყენებული ჩაის ფოთლის კრეფაში.

სოფელ ზანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ გეგმით რაიონში ყველაზე მეტი ჩაი უნდა მოკრიფოს. ივლისში დასამზადებელია 192.070 კილოგრამი ჩაი. მაგრამ კრეფა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. უკეთესი მდგომარეობა არც სხვა სოფლების კოლმეურნეობებშია.

ცხაკაიას რაიონმა წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 400 ტონით მეტი ჩაი, ვიდრე გასულ წელს. რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მთელი ძალები უნდა დარაზმონ ჩაის კრეფაში არსებული სერიოზული ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

**ბ. მილიუტინი,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## მივბაძოთ მოწინავეებს

ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი ზუგდიდის რაიონში არადამაკმაყოფილებელია. ფოთოლს განუწყვეტლივ არ კრეფენ, მიმართავენ პლანტაციების „შესვენების" არასწორ პრაქტიკას. იმის ნათელსაყოფად, თუ რა ზიანი მოაქვს პლანტაციების „შესვენებას", მოვიყვანთ ორ მაგალითს. სოფელ ოდიშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ივლისის პირველ სამ დღეს ჩაი არ უკრეფიათ, ცალკეულ ნაკვეთებზე პლანტაციების „შესვენება" 8 დღეზე მეტი გაგრძელდა, რამაც ფოთლის გაუხეშება გამოიწვია, სოფელ შამგონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ივლისის პირველ დეკადაში ივლისის გეგმა მხოლოდ 5,9 პროცენტით შეასრულეს. მესამე ბრიგადაში, რომელსაც ი. ნავროზია ხელმძღვანელობს, 41 მეჩაიედან სამუშაოზე მხოლოდ 12-13 გამოდის და ისინიც სრული დატვირთვით არ მუშაობენ და ნორმებს ვერ ასრულებენ. ზოგიერთ დღეს ჩაის ფოთოლს არ კრეფენ. ამან გამოიწვია მოსავლის ხარისხის გაუარესება. ფოთოლი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არის გაუხეშებული მერვე ბრიგადაში (ხელმძღვანელი ს. შერვაშიძე).

ივლისში ჩაისთვის უკეთესი ამინდები დადგა. სოფელ ჭაქვინჯის კოლმეურნეობაში, სადაც პლანტაციები კარგად არის მოვლილი და დამუშავებული, ფოთოლი ისე უხვად შემოვიდა, რომ კრეფის დღიურ დავალებებს სისტემატურად საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებენ. ასევე შეიძლება ითქვას ზოგი სხვა კოლმეურნეობის შესახებ, მაგრამ შამგონის კიროვის სახელობის, ცაიშის მალენკოვის სახელობის და ურთის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობებში ჩაის საზაფხულო სამუშაოებს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ, თანაც ფოთლის კრეფის აგროწესებს არღვევენ, რაც მოსავლიანობის შემცირებას იწვევს და გეგმის შესრულებას საფრთხეში აყენებს.

მახარაძელთა მიმართვის პასუხად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ბევრი ბრიგადა და მეჩაიე დაწინაურდა. მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევიან ბერიას სახელობის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეები. საბჭოთა მეურნეობამ კრეფის ივნისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ნორმები საგრძნობი გადამეტებით სრულდება ივლისშიც. მეჩაიეებს განზრახული აქვთ მაისის დანაკლისი და ივნისის გეგმა ივლისში გაანაღდონ. ივნისის მეორე ნახევრიდან კრეფა თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალში.

მოწინავე მეჩაიეთა მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ დაგვიანებული გაზაფხულის მიუხედავად, რამაც კრეფაში ჩამორჩენას ხელი შეუწყო, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას შეუძლია ჩაის კრეფის დავალების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. ეს შესაძლებლობა მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული.

**ვ. მესხია,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## საუკეთესო დროს ხელიდან უშვებენ

მახარაძელ მეჩაიე კოლმეურნეთა მიმართვის პასუხად სამტრედიელმა კოლმეურნეებმა იკისრეს წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 745 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის წვანე ფოთოლი. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის აქ არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან. მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომა. ჩაის ფოთოლს განუწყვეტლივ არ კრეფენ. დაგმობილი არ არის ჩაის ბუჩქების „შესვენების" მავნე პრაქტიკა. კრეფაში მკვეთრად ჩამორჩნენ სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი", სოფლების — წყრის, კულაშისა და იანეთის კოლმეურნეობები.

კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" უხეშად არღვევენ კრეფის წესებს. მოკრეფილი ჩაის ფოთლის საერთო რაოდენობიდან 12.952 კილოგრამი მეორე ხარისხისაა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ი. ვაშაკიძე) გადამჭრელ ზომებს არ იღებს.

ჩაის ბუჩქებიდან შემოუსვლელ დუყებს კრეფენ სოფელ ჯიხაიშის კოლმეურნეობა „შრომაში". ჯიხაიშელმა კოლმეურნეებმა წელს გეგმით უნდა მოკრიფონ 60 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი. მიუხედავად იმისა, რომ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დიდი დრო გავიდა, აქ ფოთლის ძალიან უმნიშვნელო ოდენობა აქვთ მოკრეფილი. ვხვდებით თვალისახვევის ფაქტსაც. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას წარუდგინა ცნობა, რომ 1948-1951 წლებში რაიონში 50,24 ჰექტარი ჩაის პლანტაცია არის გაშენებული. სინამდვილეში ჩაის ახალი პლანტაცია გაშენებულია მხოლოდ 36,83 ჰექტარზე. ეს უმსგავსოება რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს რატომღაც მსჯელობის საგნად არ გაუხდიათ.

სამტრედიის ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ეს ნაკლოვანებანი სწრაფად უნდა აღმოფხვრან.

**ვ. კოპალეიშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## „მოსავლის აღებისათვის გულდასმით არ ემზადებიან"

ამ სათაურით „კომუნისტის" 15 ივნისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია. საქართველოს კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომი გვატყობინებს, რომ ბიურომ განიხილა ეს საკითხი და მოსავლის აღებისათვის მზადებაში ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების კრიტიკა სწორად ცნო.

რაიკომის ბიურომ მოსავლის აღებისათვის მზადებაში კოლმეურნეობებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს ამხ. ლომინეიშვილს გამოუცხადა საყვედური, კომბაინების და სალეწი მანქანების რემონტის უხარისხოდ ჩატარებისათვის პარტიული სასჯელი დაადო ბოლნისის მტს-ის დირექტორს ამხ. დ. უგრეხელიძეს, პარტიული სასჯელი დაადო აგრეთვე სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვების" თავმჯდომარეს ამხ. ბ. მახმუდოვს.

უკანასკნელი ფოსტიდან

## უპასუხისმგებლობის შედეგი

მასალის გულდასმით დამუშავება და სიზუსტე აუცილებელია რედაქციის მუშაობაში. ამ მოთხოვნას ზოგჯერ ვერ იცავს საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანოს „კომუნისტური სიტყვის" რედაქცია. გადავათვალიერეთ გაზეთის 10 ივლისის ნომერი. აი რამდენიმე შენიშვნა:

რომ არაფერი ვთქვათ პირველი გვერდის კლიშის წარწერაზე: „მუშათა დასახლება ციმლიანსკის რაიონის მახლობლად", რომელზეც დასახლების მსგავსი არაფერი მოჩანს, გაზეთში ვხვდებით მთელ რიგ გაუგებრობებს და შეუსაბამობებს.

გაზეთი ბეჭდავს ინფორმაციას სასამართლო პროცესის შესახებ, სადაც ლაპარაკია ა. მაჩიტიძის მიერ საკოლმეურნეო თანხების მითვისებაზე. იქ ვკითხულობთ: „იგი... ადგენდა მასალების შეძენის ფაქტიურ ანგარიშებს და თანხებს ითვისებდა".

ავტორს ალბათ სურდა ეთქვა, ფიქტიურ, ყალბ ანგარიშებს ადგენდაო. ამავე ინფორმაციაში აღნიშნულია:

„მაჩიტიძეს ბოროტმოქმედებაში ხელს უწყობდნენ ნიგოზეთის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე გენადი სამხარაძე, რგანის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე პლატონ სამხარაძე და ითხვისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ალექსანდრე დვალაშვილი".

ინფორმაციის დასასრულს კი ასეთ რამეს ვკითხულობთ:

„დანაშაულებათა დადგენის გამო სასამართლომ გამოიტანა დადგენილება მაჩიტიძესადმი ხელის შემწყობების გენადი სამხარაძის, პლატონ ხვედელიძის და ალექსანდრე დვალაშვილის პასუხისგებაში მიცემის შესახებ".

თითქოს სასწაული მოხდა. ერთი აბზაცის შემდეგ პლატონ სამხარაძე გადაიქცა პლატონ ხვედელიძედ და ამით რედაქციამ მკითხველი გაუგებრობაში ჩააგდო.

გაზეთ „კომუნისტური სიტყვის" მუშაკებს მეტი პასუხისმგებლობა, დაკვირვება და სიზუსტე მოეთხოვებათ.

## კინოფილმის „დაუვიწყარი 1919 წელი" ქართული ვარიანტი

გუშინ, 18 ივლისს, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სამინისტროში გაიმართა საბჭოთა კინოხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოების—სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატ მიხეილ ჭიაურელის მიერ დადგმული ფილმის—„დაუვიწყარი 1919 წელი" ქართული ვარიანტის საზოგადოებრივი გასინჯვა.

კინოფილმი „დაუვიწყარი 1919 წელი" ქართულად დუბლირებულია თბილისის ლენინის ორდენოსან კინოსტუდიაში. ფილმის ქართული ვარიანტის რეჟისორია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ზ. ბერიშვილი, ხმის ოპერატორია ვ. დოლიძე, ტექსტის თარგმანი შესრულებულია გ. ნუცუბიძის მიერ.

ფილმის ქართულ გახმოვანებაში მონაწილეობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი მ. გელოვანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ზ. გომელაური, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ანჯაფარიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. ღამბაშიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კ. დაუშვილი და სხვ.

ამ დღეებში ქართულად დუბლირებული კინოფილმი „დაუვიწყარი 1919 წელი" გამოვა რესპუბლიკის ეკრანებზე.

## რუსთაველის თეატრი გორში

15 ივლისს ქალაქ გორში საგასტროლოდ ჩავიდა ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი. როგორც ცნობილია, ერთი თვეა, რაც თეატრის კოლექტივი, 140 კაცის შემადგენლობით, საგასტროლო მოგზაურობაშია. თეატრი იყო ჭიათურაში და ქუთაისში.

გორში თეატრი დარჩება 21 ივლისამდე და გორელ მაყურებელს უჩვენებს სპექტაკლებს „სამშობლოს", „ბარათაშვილს", „ოტელოს" და „პეპოს". თეატრი გორის ბამბეულის კომბინატში ფეიქრებისათვის გამართავს კონცერტს. („კომუნისტის" საკ. კორ.).

## ნორჩი მოგზაურები საქართველოში

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური (ჩიტაძის ქ. № 9) თითქმის ყოველდღე იღებს სტუმრებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. ნორჩი ტურისტები და ექსკურსანტები მოგზაურობენ საქართველოში სტალინური მარშრუტით, ათვალიერებენ თბილისის და რესპუბლიკის სხვა ქალაქების ღირსშესანიშნავ ადგილებს.

საზაფხულო არდადეგების დასაწყისიდან დღემდე ცენტრალურმა საექსკურსიო-ტურისტულმა სადგურმა ნორჩ მოგზაურთა 18 ჯგუფი მიიღო. ექსკურსანტებს, ტურისტებს კარგ მომსახურებას უწევენ. გარდა იმისა, რომ ჯგუფებს თან მოჰყვებიან ხელმძღვანელები, ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური მათ აძლევს ექსკურსიის გამოცდილ მძღოლებს.

ტურისტულ მოგზაურობათა და ექსკურსიათა ძირითადი მარშრუტებია: თბილისი—გორი—ბათუმი, თბილისი—გორი—ქუთაისი—ბათუმი — სუხუმი და სხვ. სომხეთიდან ჩამოსულმა ნორჩმა ტურისტებმა ინახულეს დიდი სტალინის სამშობლო ქალაქი გორი, ლენინგრადის 149-ე სკოლის მოსწავლეთა სპორტულმა ჯგუფმა მოაწყო ტურისტული გადასვლა ქვეითად მარშრუტით შორაპანი—ჭიათურა—სხვიტორი—შორაპანი — ბათუმი. გადასვლის მონაწილეებმა ამით მოიპოვეს „სსრ კავშირის ტურისტის" სამკერდე ნიშნის ტარების უფლება, ხოლო ზოგმა მესამე საკავშირო სპორტული თანრიგი მიიღო.

მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, უკრაინიდან და საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებიდან ჩამოსული ნორჩი მოგზაურები ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის შთაბეჭდილებათა წიგნში აღფრთოვანებას გამოთქვამენ ჩვენი რესპუბლიკის დათვალიერების გამო.



ორთაჭალჰესის მშენებლობაზე. სურათზე: ბურჯების მშენებლობის ხედი. წინ დგანან მოწინავე მშენებლები (მარცხნიდან მარჯვნივ) —ვ. დავითაშვილი, პ. ზაფიროვი, ა. ნანიაშვილი, ი. ყარაგეზოვი, კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი გ. შიუკაშვილი და სამუშაოთა მწარმოებელი პ. სერაკი.
ფოტო გ. გინზბურგისა

თბილისის ახალმშენებლობებზე

## დღეს ორთაჭალჰესზე

წელს პირველ კვარტალში საუკეთესოდ მუშაობისათვის ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივმა, რომელსაც ინჟინრები გ. ჩოგოვაძე და ი. მღებრიშვილი ხელმძღვანელობენ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი საკავშირო პრემია მოიპოვა.

ამ დროშის შესანარჩუნებლად, უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მისაღწევად იბრძოდნენ მეორე კვარტალში ჰესის მშენებლები. ორიოდე თვის წინათ ისინი უკვე შეუდგნენ ჰიდროელექტროსადგურის ასამუშავებელი გრაფიკის განხორციელებას.

გრაფიკი მშენებლებისაგან განსაკუთრებულ წინდახედულობას, ენერგიას, მაღალხარისხოვან მუშაობას მოითხოვს. წლის პირველი ნახევრის შედეგების შეჯამებამ ცხადყო, რომ ორთაჭალჰესელებმა წარმატებით გაართვეს თავი მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა კალენდარული პროგრამა. ივნისის გეგმა მშენებლებმა 103,3 პროცენტით შეასრულეს, მეორე კვარტალის გეგმა — 109,5 პროცენტით, ხოლო ნახევარი წლისა— 104,6 პროცენტით.

ივლისსა და აგვისტოში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა მრავალი მნიშვნელოვანი სამუშაო უნდა მოათავონ—დაამთავრონ კაშხალის უკვე ამოყვანილი ბურჯების საპროექტო ნიშნულამდე დაბეტონება და მოპირკეთება, შეაერთონ ქვემო ნავთლუღის მიმართულებით გასაყვანი სანაპირო ქუჩის საყრდენი კედლები, განაგრძონ ამ კედლის მშენებლობა (მდინარის მარცხენა ნაპირზე), კაშხალის ბურჯების თავზე გამართონ მომავალი ფართო საქალაქო ხიდის, აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურის სასამსახურო ხიდებისათვის არმირებული ფერმები და შეუდგნენ ამ ფერმების დაბეტონებას. გარდა ამისა, გრაფიკით აგვისტოში გათვალისწინებულია არსებული ზღუდარის მოშლა, მისი გადატანა მდინარის მარჯვენა მხრისაკენ, მტკვრის გადაგდება მარცხნივ და მის კალაპოტში, ზღუდარით დაცულ ადგილას, კაშხალის უკანასკნელი ბურჯის მშენებლობის დაწყება.

მშენებლებმა იკისრეს ყველა ამ სამუშაოთა შესრულების უზრუნველყოფა გრაფიკის მიხედვით, მაგრამ არის საფრთხე, რომ მათ ხელი შეეშლებათ, თუ დანიშნულ ვადებში არ მიიღეს სახიდე არმირებული ფერმებისათვის საჭირო დეტალები და სხვადასხვა ლითონკონსტრუქციები. ამ დეტალებსა და ლითონკონსტრუქციებს მშენებლებს უმზადებს საქართველოს ჰიდროენერგომშენის ლითონკონსტრუქციების ქარხანა. ქარხნის კოლექტივის (დირექტორი ს. ხითარიშვილი) ღირსების საქმეა შეუფერხებლად შეუსრულოს მშენებლებს დაკვეთა, უახლოეს დროში მიაწოდოს მათ 60 ტონამდე ლითონის კონსტრუქციები.

* * *

სამას არაგველთა ხიდთან დიდი, ულაზათო შენობა, რომელიც ხიდიდან გადასახედზე ვარდის კუნძულს ეფარებოდა, მშენებლებმა უკვე აიღეს და ყოფილ კუნძულთან ერთად ორთაჭალჰესის მშენებლობის საერთო ხედი გახსნეს.

2 ივლისს მშენებლებს მემონტაჟეებიც მიემატნენ, შეუდგნენ ბურჯებს შორის ფარების გასამართავად საჭირო წინასწარი სამონტაჟო სამუშაოების შესრულებას. მათი ამოცანაა მოუწყონ სამძრავო ბუდეები მტკვრის ჩასაკეტ 105-ტონიან ლითონის ფარებს, გადავიდნენ აგრეგატების დამონტაჟებაზე და, როგორც იტყვიან, ფეხდაფეხ მიჰყვნენ მშენებლებს დანიშნული ვადისათვის სადგურის ამუშავების უზრუნველსაყოფად.

გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების დროული და მაღალხარისხოვანი შესრულებით გამოირჩევიან ინჟინერ დავით ორჯონიკიძის და ივანე კახაძის სამშენებლო უბნების კოლექტივები. დ. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობს ზღუდარის გაყვანას, სანაპირო ქუჩებისათვის საყრდენი კედლების აგებას და ბურჯების მოპირკეთებას. ამ უბანზე მოწინავენი არიან ვასილ შიუკაშვილის, მიხეილ კუზმენკოს და ნიკოლოზ ეკოტოვის ბრიგადები. ინჟინერ ი. კახაძის უბანზე საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ექვთიმე კაბისოვის მებეტონეთა ბრიგადას და ალექსანდრე მერკულოვის მეარმატურეთა ჯგუფს.

სრული დატვირთვით და გამართულად მუშაობს ბეტონის ქარხანა, რომელიც შეუფერხებლად აწვდის ბეტონის ხსნარს მშენებლებს. ქარხნის კარგი მუშაობის უზრუნველყოფაში დამსახურება მიუძღვით შალვა ოსტატიშვილისა და ვასილ კობერიძის ბრიგადებს.

გრაფიკით გათვალისწინებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელეს გიორგი ხადურის ხუროთა ბრიგადამ და გ. ხიზანიშვილის ზეინკალ - მემონტაჟეთა ჯგუფმა, აგრეთვე ახალგაზრდა ინჟინრებმა გივი კვანტრიშვილმა, ავთანდილ ბანეთიშვილმა და სამუშაოთა მწარმოებელმა პავლე სერაკმა.

* * *

დიდი სამუშაოები ჩაიდება ახლა ორთაჭალჰესის მახლობელი უბნის კეთილმოსაწყობად და გასამშვენიერებლად, მთელი ამ მიდამოს სარეკონსტრუქციოდ. სამას არაგველთა ძველი ხიდი გაისათ უკვე გაუქმებულად გამოცხადდება. მის ნაცვლად, ცოტა ქვემოთ, იმ ადგილას, სადაც წინათ მდინარე მტკვარი ორად განაწილებისას ფონს ქმნიდა და სადაც, გადმოცემის მიხედვით, კრწანისის ბრძოლის დღეებში გმირმა არაგველებმა წყალის ზღუდე გადალახეს, განიერი და ლამაზი რკინაბეტონის ხიდი იქნება.

ხიდის მარჯვენა მხარეზე უძველეს საწარმოთა კორპუსებში მოწყობილობის დემონტაჟი დამთავრებულია და დაწყებულია ამ შენობების აღება, რათა მტკვრის მარჯვენა სანაპირო გათავისუფლდეს მომავალი ხეივნიანი სანაპირო ქუჩისათვის საყრდენი კედლის მშენებლობის დასაწყებად. ეს საყრდენი კედელი ბალნეოლოგიური კურორტის მთავარი შენობის მიდამოდან სამას არაგველთა ხიდამდე უმოკლეს ვადაში უნდა გაიყვანონ ორთაჭალჰესის მშენებლებმა. მტკვრის ამ მარჯვენა ნაპირის გაყოლებით ბეტონის კედლის მშენებლობის დამთავრება აუცილებელია იმისათვის, რომ მომავალი წლის პირველ ნახევარში შესაძლებელი გახდეს ჰიდროელექტროსადგურის სრული სიმძლავრით ამუშავება, ე. ი. მტკვრის კალაპოტში წყლის შეგუბება. გარდა ამისა, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა ორთაჭალა-ნავთლუღის სანაპირო ქუჩის საყრდენი კედლის ასაგებად. ეს კედელი ამჟამად რამდენიმე ასი მეტრის სიგრძეზე უკვე მზად არის. ახალი სანაპირო ქუჩა მტკვრის მარცხენა მხარეზე უმოკლესი მანძილით დააკავშირებს ორთაჭალის უბანს ქვემო ნავთლუღთან.

ორთაჭალა—ძველ ყარაჩოხელთა უბანი—ახალი თბილისის მშვენებად და სიამაყედ უნდა გადააქციონ მშენებლებმა.

**დ. ლომთაძე.**

## ელბაქიძის ხიდის მშენებელთა ღირსების საქმე

— 25 დეკემბერი სასიხარულო დღე იქნება თბილისის მშრომელებისათვის: ამ დღეს გაიხსნება მოძრაობა ელბაქიძის ახალ ხიდზე! — ასე ამბობენ ელბაქიძის ხიდის მშენებლები, ასეთ დაპირებას იძლევიან ისინი.

შეასრულებენ კი ამ დაპირებას?

თუ გადავხედავთ მშენებლობის მაჩვენებლებს და მხედველობაში მივიღებთ დარჩენილ დროს, შეიძლება ეჭვი შევიტანოთ ამ დაპირების რეალობაში. მშენებლებს არა აქვთ სახარბიელო მდგომარეობა. ივლისის შუა რიცხვებისათვის შესრულებული ჰქონდათ საერთო სამუშაოთა მხოლოდ 30 პროცენტი. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ მშენებლობა 11 თვეა ჭიანურდება.

რა იყო მიზეზი მშენებლობის ასეთი გაჭიანურებისა? მშენებლობის უფროსი ინჟინერი ი. ჩხაიძე ამ გაჭიანურებას იმით ხსნის, რომ წელს მათ მოულოდნელმა წყალდიდობამ შეუშალა ხელი, შეაფერხა მშენებლობა.

ეს სწორია, მაგრამ სწორია ისიც, რომ თუ მშენებლები უფრო თადარიგიანად იმუშავებდნენ, რაციონალურად მოაწყობდნენ სამშენებლო სამუშაოებს, ადიდებული მდინარე მათ ვერაფერს დააკლებდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, თუმცა გაზაფხულის წყალდიდობამდე ხიდის მშენებლებს ხელს არაფერი უშლიდა, მაგრამ ბევრი არაფერი გაუკეთებიათ.

მტკვრის მარჯვენა მხარეზე სახიდე თაღის ასაგებად დიდი სამუშაოებია შესასრულებელი, მაგრამ დღემდე ეს სამუშაო დაწყებულიც არ არის. ამაში ბრალი მიუძღვის თბილისის საბჭოსაც, რომელმაც დღემდე ვერ უზრუნველყო ელბაქიძის აღმართის დასაწყისში სამსართულიანი სახლის განთავისუფლება მობინადრეთაგან და მისი აღება, რათა მშენებლებს საშუალება მისცემოდათ მის ადგილას დაეწყოთ მთავარი სახიდე ბურჯის აგება.

ამ სახლის აღება და მის ადგილას სახიდე ბურჯის მშენებლობა დიდად შრომატევადი სამუშაოა. მისი შესრულება შეიძლებოდა ყოველთვის, ვინაიდან მას ვერც წყალდიდობა და ვერც უამინდობა ხელს ვერ შეუშლიდა, მაგრამ ასე არ მოხდა, მშენებლები გაცდნენ, მშენებლობა გაჭიანურდა.

ყველაზე უფრო რთული და მძიმე წყალქვეშა სამუშაოები მშენებლებს თითქმის უკვე მოთავებული აქვთ. ამჟამად მთელი ძალები გადაყვანილია ხიდის მთავარი მალისათვის საბეტონე ქარგილების დაყენებაზე, რათა მოკლე დროში დაიწყონ დიდი თაღის დაბეტონება. 70 ხურო აქ გაცხოველებით მუშაობს ყოველდღიურად. მათ გვერდით არმატურის დაყენებას შეუდგნენ მეარმატურეთა ბრიგადები.

აგვისტოდან მშენებლებს ახალი სამუშაო ფრონტი მოემატებათ — დაიწყება მდინარის მარჯვენა მხარეზე ბურჯისათვის ქვაბულის ამოღება.

დიდი დრო დაკარგეს ფუჭად მშენებლებმა, მაგრამ ახლა იმის ყველა პირობა აქვთ, რომ მიმდინარე წლის ბოლოსათვის ხიდი სავსებით გაამზადონ, ქალაქის ამ მთავარ მაგისტრალზე მოძრაობა გახსნან. საშენი მასალებით უზრუნველყოფილი არიან, კვალიფიციური მშენებლები საკმაოდ ჰყავთ. მათ შორის არიან სახელოვანი ადამიანები, თავისი საქმის მაღალკვალიფიციური ოსტატები და რაციონალიზატორები, მებეტონეები — ბ. ქვლივიძე, რ. ლავრელაშვილი, გ. ბეგლარაშვილი, ხუროები — ვ. სმირნოვი, გ. გორგიაშვილი, პ. ვასილენკო, ინჟინერ-გეოლოგი გ. კვიჭიძე და სხვები. ახლა მთავარია სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესება, ძალთა სწორად, რაციონალურად განაწილება და გამოყენება.

მოცემულ ვადამდე ბევრი დრო აღარ დარჩენილა. განვლილ დროში სამუშაოთა ერთ მესამედზე ნაკლებია შესრულებული და, ცხადია, დარჩენილ დროში ყველა სამუშაოს შესრულება გაძნელდება, თუ მშენებლობა ახლებურად არ მოაწყეს, თუ განუწყვეტელი სადღეღამისო მუშაობა ვერ მოაწესრიგეს.

ელბაქიძის ხიდის მშენებლები დიდ ვალში არიან თბილისის მშრომელების წინაშე. მათი ღირსების საქმეა პირნათლად მოიხადონ ეს ვალი, უზრუნველყონ საქართველოს დედაქალაქის ბოლშევიკების მიერ მათს წინაშე დასახული ამოცანის შესრულება—ხიდზე მოძრაობის გახსნა მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

**ზ. ჯამასპიშვილი.**

## ჰიულეტ ჯონსონის გამოსვლა მიტინგზე ლონდონში

**ლონდონი,** 17 ივლისი. (საკდესი). გუშინ საღამოს, დანიშნულ საათამდე დიდი ხნით ადრე, ლონდონის რამდენიმე ათასმა მცხოვრებმა თავი მოიყარა სენტ-პანკრასის რატუშის შენობასთან, სადაც ინგლის-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოებამ მოაწყო მიტინგი, რომელზეც უნდა გამოსულიყო კენტერბერის ტაძრის წინამძღვარი დოქტორი ჰიულეტ ჯონსონი.

როცა პრეზიდიუმის მაგიდასთან გამოჩნდა ჰიულეტ ჯონსონი, დამსწრეებმა მას მქუხარე ოვაცია გაუმართეს. ინდოელ სტუდენტთა ჯგუფმა ჯონსონს მეუღლეს თაიგული მიართვა.

მიტინგი გახსნა ინგლის-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარემ უილიამ ელერბიმ.

ტრიბუნაზე ავიდა ჯონსონი, რომელსაც ტაშით და მისასალმებელი შეძახილებით შეხვდნენ. მან დამსწრეთ უამბო ის უდიდესი ცვლილებები, რაც ჩინელი ხალხის ცხოვრებაში მოხდა უკანასკნელ წლებში მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა სახალხო მთავრობა. ჩინეთის წარმატებანი ამ უკანასკნელ წლებში შედეგად მოჰყვა ჩინელი ხალხის განთავისუფლებას ჩან კაი-შის გახრწნილი რეჟიმის უღლისაგან, მემამულეთა და სხვა ექსპლოატატორთა უღლისაგან. მან თქვა, რომ სახალხო მთავრობის მიერ დაწყებულმა და განხორციელებულმა საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოებმა ჩინელი ხალხი იხსნა წყალდიდობისა და შიმშილის მუდმივი საფრთხისაგან.

„ჩინელი ხალხი,—განაცხადა ჯონსონმა,—აკეთებს იმასვე, რასაც საბჭოთა ხალხი—რგავს ტყეებს, ცვლის თავისი ქვეყნის ჰავას".

შეეხო რა ჩინეთთან ვაჭრობის საკითხს, ჯონსონმა თქვა: „რა განუსაზღვრელი ბაზარია ეს ჩვენთვის! ჩვენ აღარ დაგვჭირდებოდა დოლარების მიღება ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, რომ დაგვეწყო ვაჭრობა 800 მილიონიან მოსახლეობასთან პრაღიდან პეკინამდე, რომელსაც ჩვენი საქონელი სჭირდება".

ჯონსონმა ხაზგასმით აღნიშნა მთელი ჩინელი ხალხის მისწრაფება მშვიდობისა და სხვა ქვეყნების ხალხებთან მეგობრობისადმი.

შეეხო რა ამერიკელების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების საკითხს, ჯონსონმა დამსწრეთ წაუკითხა მეცნიერების, კულტურისა და რელიგიის მოღვაწეთა მიერ ხელმოწერილი რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც უდავოდ ამტკიცებენ ამერიკელების მიერ მასობრივი მოსპობის საზარელი იარაღის გამოყენებას.

თავისი სიტყვის დასასრულს, რომელიც არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით და მოწონების შეძახილებით, ჰიულეტ ჯონსონმა თქვა: „ჩინეთი დიდი მზარდი ქვეყანაა. მას არ ეშინია მომავლისა. მან იცის, რომ შეძლებს დაძლიოს ბაქტერიოლოგიური იარაღი, რა რიგ ჯოჯოხეთურიც უნდა იყოს იგი".

დამსწრეებმა მქუხარე ოვაცია გაუმართეს ჰიულეტ ჯონსონს.

## ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება მეტალურგების გაფიცვა

**ნიუ-იორკი,** 17 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე თვენახევარია გრძელდება 600 ათასი მეტალურგის გაფიცვა. როგორც მეტალურგიული მრეწველობის ცენტრებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, მიუხედავად იმისა, რომ გაუარესდა გაფიცული მუშების მატერიალური მდგომარეობა, განსაკუთრებით იმ მუშებისა, რომლებიც მცირე ხელფასს იღებდნენ, მათი საბრძოლო სულისკვეთება და გამარჯვებისადმი მისწრაფება გაუტეხელია.

გაზეთი „დეილი უორკერი" ახასიათებს გაფიცულ მუშათა განწყობილებას და წერს: ჩრდილო-დასავლეთის მეტალურგიული ქარხნების მუშებმა თავიანთი ბრძოლის ლოზუნგად წამოაყენეს „რაკი ხელშეკრულება არ არის, არც ვიმუშავებთ".

მუშათა პრესის ცნობებში მოყვანილია ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში და ამერიკის შრომის ფედერაციაში შემავალი სხვა პროფკავშირების, აგრეთვე დამოუკიდებელი პროფკავშირების და წვრილ ფერმერთა ორგანიზაციების წევრები სოლიდარობას უცხადებენ გაფიცულ ფოლადმდნობელებს. პროფკავშირული ჟურნალი „მარჩ ოფ ლეიბორი" წერს, რომ გაფიცულებს სოლიდარობა გამოუცხადეს: ხორც-კონსერვის მრეწველობის მუშათა პროფკავშირმა, საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის მუშათა პროფკავშირმა, ფეიქართა პროფკავშირმა, კაუჩუკის მრეწველობის მუშათა პროფკავშირმა, ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირმა და ბევრმა სხვამ.

გაფიცულთ მხარი დაუჭირეს თავიანთ რეზოლუციაში პროგრესული პარტიის ამას წინათ ჩიკაგოში შემდგარი ყრილობის დელეგატებმა. თავიანთ რეზოლუციაში ყრილობის დელეგატები მოუწოდებენ პროგრესული პარტიის ყველა წევრს ყველა შტატში „პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ფოლადმდნობელებსა და მათ ოჯახებს, მოაწყონ პროდუქტების შეგროვება და ყოველი შესაძლებელი საშუალებით დაეხმარონ მუშებს".

გაზეთების ცნობით გაფიცვამ მკვეთრად შეამცირა ფოლადის მარაგი მომხმარებელთა საწყობებში. ბევრი კომპანია ფოლადის ნაკლებობის გამო ან კვეცავს წარმოებას, ანდა დროებით ხურავს საწარმოს. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, ფოლადის ნაკლებობა განსაკუთრებით მკვეთრ გავლენას ახდენს საავტომობილო მრეწველობის საწარმოთა მუშაობაზე. ამ მრეწველობაში, როგორც გაზეთი აღნიშნავს, ახლა ფოლადის ნაკლებობის გამო დროებით დათხოვილია 300 ათასზე მეტი კაცი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ნიუ-იორკის შტატში 29 ათას გაფიცულ ფოლადმდნობელს ემატება 24 ათასი მუშა, რომლებიც დროებით დაითხოვეს ფოლადის ნაკლებობის გამო.

გუშინ ყველა გაზეთმა კვლავ გამოაქვეყნა ცნობა, რომ პროფკავშირისა და ექვსი წამყვანი ფოლადმდნობელი კომპანიის წარმომადგენლებს შორის განახლებულ მოლაპარაკებას შეთანხმება არ მოჰყოლია.

## გაზეთი „ესპანია დემოკრატიკა" ესპანელი ხალხის ბრძოლის შესახებ თავისი განთავისუფლებისათვის

**მონტევიდეო,** 17 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ესპანია დემოკრატიკამ" გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია ესპანეთში ფრანკისტული ამბოხების 16 წლისთავთან დაკავშირებით. 18 ივლისს, წერს გაზეთი, ფინანსურმა ოლიგარქიამ, მსხვილმა მემამულეებმა, სამხედრო კასტამ და ეკლესიის მეთაურებმა გაილაშქრეს რესპუბლიკის წინააღმდეგ და ესპანეთის კარი გაუღეს ჰიტლერისა და მუსოლინის დამპყრობლურ არმიებს.

ძალებმა, რომლებსაც ფრანკო მეთაურობდა, აშკარად მიჰყიდეს სამშობლო და სამშობლოს სიმდიდრე ომის ამერიკელ გამჩაღებლებს. ისინი ყიდიან ესპანელ ხალხს, როგორც საზარბაზნე ხორცს, თავისუფალი ხალხების წინააღმდეგ წარმოებული აგრესიისათვის. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ შავბნელი ძალებისა და მათი დანაშაულებრივი გეგმების წინააღმდეგ ილაშქრებს ესპანელი ხალხი, რომელიც გმირულად იბრძვის თავისუფლების დასაცავად, ღირსეული ცხოვრების უფლებისა და ესპანეთის ხსნისათვის. დანაშაულებრივი ფრანკისტული ამბოხების მე-16 წლისთავის დღეს ესპანელი პატრიოტები იმეორებენ მოწოდებებს, რომლებიც გაისმოდა ბარსელონაში: „ძირს ფრანკოს რეჟიმი! წავიდნენ ამერიკელები ესპანეთიდან! გაუმარჯოს მშვიდობას!". ეს მოწოდებები ეროვნული ერთიანობის დროშაა ესპანეთის მშვიდობისა და ხსნისათვის ბრძოლაში. ეს მოწოდებები, აცხადებს შემდეგ გაზეთი, წარმოადგენენ „ერთიანობისა და ბრძოლის ჰიმნს, ისინი საზღვრებს სცილდებიან და ეროვნული ერთიანობის დროშას წარმოადგენენ ესპანეთის მშვიდობისა და ხსნისათვის ბრძოლაში. ისინი საბრძოლველად აღაფრთოვანებენ ყველა ესპანელს, რომლებიც იმყოფებიან სამშობლოში და სამშობლოს ფარგლებს გარეთ. აქ, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ესპანელ პატრიოტებს აქვთ ერთადერთი გზა, რომელიც უჩვენა ჩვენმა ხალხმა: ერთიანობა, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულების, სოციალური მდგომარეობისა და რელიგიური რწმენის განსხვავებისა, ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში, ერთიანობა იმისათვის, რომ ბოლო მოუღონ ფრანკოს, ერთიანობა ესპანეთიდან ამერიკელების განდევნისათვის, ერთიანობა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისა და იმისათვის, რომ ჩვენმა ხალხმა დემოკრატიული განვითარების უფლება მოიპოვოს".

## დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა მიესალმება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის გადაწყვეტილებებს

**ბერლინი,** 18 ივლისი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებმაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა გამოიწვია, მხურვალედ უჭერს მხარს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობაც.

მკვეთრად გმობენ რა ადენაუერის ანტიეროვნულ აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოხატული მის მიერ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ხელმოწერილი ხელშეკრულებებით, დასავლეთ გერმანიის პატრიოტები იმედითა და რწმენით შეჰყურებენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, სადაც სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდი წარმატებების შედეგად შესაძლებელი გახდა სოციალიზმის საფუძვლების აგების დაწყება.

დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა ნაწილში ხალხმრავალ მიტინგებსა და დემონსტრაციებზე მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები სოლიდარობას უცხადებენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის გადაწყვეტილებებს სოციალიზმის მშენებლობის შესახებ და მის მოწოდებებს ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის ბრძოლისაკენ. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურა ჰამბურგის მოსახლეობა, რომელიც ესწრაფვის დაეხმაროს თავის ძმებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში და აძლიერებს ბრძოლას ადენაუერის გამთიშველი ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ.

„ჩვენ მივესალმებით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის გადაწყვეტილებებს, — ნათქვამია ჰამბურგის მცხოვრებთა მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში. — ეს ჩვენ მიგვაჩნია დიდმნიშვნელოვან ნაბიჯად გერმანიის ერთიანობის, მშვიდობიანი აღდგენისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში".

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის დაწყებამ თანაგრძნობა ჰპოვა არა მარტო დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასში, რომელსაც ეს თავის საარსებო საქმედ მიაჩნია, არამედ ინტელიგენციაშიც.

მიუნხენელმა მხატვარმა ვერმანმა, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გარიცხეს იმისათვის, რომ ბონელი რევანშისტების აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედების სასარგებლოდ გამოვიდა, განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა სოციალიზმის აშენების დაწყება შეძლეს მას შემდეგ, რაც მათ დიდ წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში. მათმა მიღწევებმა დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატებს თვალი აუხილა იმაზე, თუ რის მიღწევა შეუძლია მუშათა კლასს, როცა იგი გაერთიანებულია.

## საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობის წინ

### ფეხბურთელთა გუნდების წილისყრის შედეგი

**ჰელსინკი,** 17 ივლისი. (საკდესი). დღეს ჰელსინკში გაიმართა წილისყრა, რომელმაც განსაზღვრა ფეხბურთელთა ოლიმპიური შეჯიბრების შემდგომი რიგი.

წილისყრის თანახმად, ლუქსემბურგის გუნდი შეხვდება ბრაზილიის გუნდს, პოლონეთის გუნდი — დანიის გუნდს, სსრ კავშირის — იუგოსლავიისას, თურქეთისა—ანტილის კუნძულებისას, ავსტრიისა — ფინეთისას, ნორვეგიისა — შვეციისას, დასავლეთ გერმანიისა — ეგვიპტისას, უნგრეთისა — იტალიისას.

## ფეხბურთელთა შეჯიბრების პირველი ტურის რიგი ოლიმპიურ ასპარეზობაზე

**ჰელსინკი,** 17 ივლისი. (საკდესი). ფეხბურთელთა შეჯიბრების პირველ ტურში ოლიმპიურ ასპარეზობაზე ერთმანეთს ხვდებიან—19 ივლისს: ფინეთი-ავსტრია—ჰელსინკში; 20 ივლისს: საბჭოთა კავშირი-იუგოსლავია — ტამპერეში; ლუქსემბურგი-ბრაზილია — კოტკაში; დასავლეთი გერმანია-ეგვიპტე — ტურკუში; 21 ივლისს: პოლონეთი-დანია—ტურკუში; თურქეთი-ანტილის კუნძულები—ლახტიში; ნორვეგია-შვეცია—ტამპერეში; უნგრეთი-იტალია—ჰელსინკში.

## შესარჩევი შეჯიბრება კალათბურთში

**ჰელსინკი,** 17 ივლისი. (საკდესი). დღეს გრძელდებოდა ოლიმპიური შესარჩევი შეჯიბრება კალათბურთში. ფილიპინების კალათბურთელებმა მოუგეს უნგრეთის კალათბურთელებს ანგარიშით 48 : 35, ბულგარეთის კალათბურთელთა გუნდმა მოუგო კუბის გუნდს ანგარიშით 62 : 56.

იტალიის კალათბურთელებმა მოუგეს რუმინეთის კალათბურთელებს ანგარიშით 53 : 39. კანადის გუნდმა მოუგო ეგვიპტის კალათბურთელებს.

## ფინეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობა ცდილობს მშვიდობის დღესასწაულად გადააქციოს ოლიმპიური ასპარეზობა

**ჰელსინკი,** 17 ივლისი. (საკდესი). ახალგაზრდობის კომიტეტმა, რომელიც მხარს უჭერს ჩრდილოეთის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა 1951 წლის დამლევს გამართული კონგრესის მიმართვას, რომ ოლიმპიური ასპარეზობა გადააქციონ ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის დღესასწაულად, აგრეთვე ამ კონგრესის ერთ-ერთმა თავმჯდომარემ პროფესორმა ფელიქს იევერსენმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს ოტო მაიერს გაუგზავნეს წერილი, რომლითაც ურჩევენ კომიტეტს იმოქმედოს ხსენებული მიმართვის თანახმად.

წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ფინეთში ჩრდილოეთის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მიმართვას მხარი დაუჭირეს ოლიმპიური ოქროს მედლის ბევრმა მფლობელმა, ცნობილმა სპორტსმენებმა და სპორტის ათასობით მოყვარულმა.

## საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება ოლიმპიურ ასპარეზობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ

**ჰელსინკი,** 17 ივლისი. (საკდესი). დღეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ოტო მაიერმა გამართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ჟურნალისტებს გააცნო იმ რეზოლუციის შინაარსი, რაც დღეს მიიღო კომიტეტის კონგრესმა. რეზოლუციიდან ჩანს, რომ კონგრესმა გადაწყვიტა დაუშვას საერთაშორისო ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენები, ისე გომინდანელთა წარმომადგენლები.

შემდეგ მაიერმა აღნიშნა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას განზრახული აქვს ოლიმპიურ ასპარეზობაზე გაგზავნოს კალათბურთელები, ფეხბურთელები და მცურავები.

## ბერძენ პოლიტიკურ პატიმართა მიმართვა

**ლონდონი,** 17 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, რომ ინგლისში მიღებულია ბერძენ პატიმართა მოწოდება დახმარების შესახებ. ეს მოწოდება პატიმრებს საიდუმლოდ გამოუგზავნიათ ბანაკიდან. მოწოდებაში ნათქვამია, რომ საბერძნეთის მთავრობას განზრახული აქვს 20 ათასი პოლიტიკური პატიმარი გადაიყვანოს „კლდიან, უდაბურ კუნძულ იურაზე, რომელსაც რომის იმპერატორებიც კი არ იყენებდნენ თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გადასასახლებელ ადგილად".

აქ, ნათესავებსა და ცხოვრებას მოწყვეტილნი, „ჩვენ დავიხოცებით შიმშილითა და წამებით, ჩვენ დაგვხოცავენ, და ვერავინ გაიგონებს ჩვენს გოდებას".

პატიმრები სთხოვენ ინგლისის ყველა დემოკრატს შეუერთდნენ საპროტესტო მოძრაობას, რომელიც დაიწყო მთელ მსოფლიოში ამ კუნძულზე მათი გადაყვანის წინააღმდეგ.

## ირანის პრემიერ-მინისტრის მოსადიკის გადადგომა

**ლონდონი,** 17 ივლისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება:

ირანის კარის მინისტრმა ჰოსეინ ალამ დღეს მეჯლისის თავმჯდომარეს აცნობა, რომ პრემიერ-მინისტრი მოსადიკი გადადგა.

## მთავრობის კრიზისი ირანში

**თეირანი,** 17 ივლისი. (საკდესი). როგორც თეირანის რადიო გადმოგვცემს, მეჯლისის დღევანდელ დახურულ სხდომაზე, რომელსაც 42 დეპუტატი დაესწრო, ირანის პრემიერ-მინისტრის პოსტზე კანდიდატად დაასახელეს კავამ-ეს-სალტანე.

# კ ო რ ე ი ს ა მ ბ ე ბ ი

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 17 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით განაგრძობდნენ თავდაცვით ბრძოლებს.

სახალხო არმიის ნაწილებმა ჩაძირეს მოწინააღმდეგის ერთი ხომალდი და სერიოზულად დააზიანეს ერთი საესკადრო ნაღმოსანი, რომლებიც არტილერიის ცეცხლს უშენდნენ მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 და დააზიანეს 6 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობიან დასახლებულ რაიონებზე ბარბაროსულ თავდასხმებში.

## ამერიკელი ინტერვენტების მხეცობა კორეაში

**ფხენიანი,** 17 ივლისი. (საკდესი). კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გადასცა ახალი ცნობები, რომ ამერიკის ავიაციამ 11 ივლისს დღისით და 12 ივლისს ღამით დაბომბა ფხენიანი და მისი მიდამოები. სააგენტოს ცნობაში ნათქვამია:

11 ივლისს დღისით და 12 ივლისს ღამით ამერიკის ავიაციამ ბარბაროსულად დაბომბა და ცეცხლი დაუშინა არა მარტო ფხენიანის ცენტრალურ ნაწილს, არამედ ფხენიანის მიდამოების მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებსაც. ამერიკელი მფრინავები ულმობლად ხვრეტდნენ გლეხებს, რომლებიც თავიანთ ყანებს მარგლავდნენ, მფრინავები ნაპალმის ბომბებს აყრიდნენ მშვიდობიან გლეხთა სახლებს. სოფელ სანხინრში ჩამოაგდეს 300-მდე ბომბი, რომლებმაც დაანგრია 235 სახლი და მოკლა 142 კაცი. მოკლულთა შორის ბევრია ძუძუთაბავშვიანი ქალი და მოხუცი.

სასტიკად დაბომბეს სოფელ ტეტხანრენის გლეხთა სახლები. ამ სოფელში ბომბებით დანგრეულია 50-ზე მეტი სახლი, მოკლულია ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები, მოსპობილია გლეხთა ნათესები. ბევრი ნაპალმის ბომბი ჩამოყარეს ფხენიანის ახლომდებარე მთელ რიგ სოფლებში. დაბომბვისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლის შედეგად გლეხებს უდიდესი ზარალი მოუვიდათ.

სახალხო ხელისუფლები დიდ დახმარებას უწევენ ამერიკის ავიაციის ბარბაროსული თავდასხმებით დაზარალებულ გლეხებს. სახალხო კომიტეტები დაზარალებულთა შორის ანაწილებენ სურსათსა და ტანსაცმელს.

## ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

**შანხაი,** 17 ივლისი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ივნისის დამლევს გაიმართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომები პრეზიდენტ ხო ში მინის თავმჯდომარეობით.

ორი უკანასკნელი თვის საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვის შემდეგ მინისტრთა საბჭომ მოისმინა გენერალ ვო ნგუენ ზიაპის მოხსენება ამა წლის პირველ ნახევარში ვიეტნამის სამხედრო მდგომარეობის შესახებ.

ამა წლის პირველ ნახევარში თქვა ვო ნგუენ ზიაპმა, ჩვენ ვავითარებდით ხოა-ბინის განთავისუფლებისათვის კამპანიაში მოპოვებულ გამარჯვებას, განვაგრძობდით ბრძოლას ჯერ კიდევ ოკუპირებულ რაიონებში, ვაძლიერებდით პარტიზანულ ომს და ვუფუშავდით ფრანგ აგრესორებს ჩრდილოეთ ვიეტნამის ვაკეებში მათი ხელისუფლების განმტკიცების გეგმებს. ბინ-ტრი-ტიენის რაიონში (ცენტრალური ვიეტნამი) ადგილობრივმა სახალხო ძალებმა რამდენიმე დიდ ბრძოლაში მოსპეს მტრის ბევრი ჯარისკაცი, გაათავისუფლეს კვანგ-ბინის პროვინციის ჩრდილოეთი ნაწილი. ცენტრალური ვიეტნამის სამხრეთ ნაწილში სახალხო ძალებმა მოსპეს მტრის რამდენიმე საგუშაგო. ამ რაიონში აგრეთვე გაფართოვდა პარტიზანული ომი.

ვიეტნამის სახალხო არმიას, განაცხადა შემდეგ გენერალმა ვო ნგუენ ზიაპმა, კვლავ ხელში ეპყრა ომის წარმოების ინიციატივა, დიდი გამარჯვებანი მოიპოვა მოწინააღმდეგის ზურგში და შეძლო შეენარჩუნებინა ამ გამარჯვებათა ნაყოფი. ჩვენი შეიარაღებული ძალები, განსაკუთრებით ადგილობრივი სახალხო ძალები ჩრდილოეთ ვიეტნამში, უფრო ძლიერი გახდნენ ხოა-ბინის გამარჯვების შემდეგ.

ვიცე-პრემიერმა ფამ ვან დონგმა გააკეთა ნახევარი წლის საანგარიშო მოხსენება და ვიეტნამის საერთო მდგომარეობის მიმოხილვა. მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული სახალხო არმიის მებრძოლებისა და მთავრობის ორგანოების მოსამსახურეთა პოლიტიკური აღზრდის დიდი მნიშვნელობა და შეჯიბრების მონაწილეთა მაისის პირველ ნახევარში შემდგარი ეროვნული კონგრესის დიდი მნიშვნელობა.

გაკეთებულ იქნა რამდენიმე სხვა მოხსენება, მათ შორის შრომის მინისტრის მოხსენება შეჯიბრების მონაწილეთა ეროვნული კონგრესის შედეგების შესახებ, სახელმწიფო საინსპექციო კომისიისა — მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მისი მუშაობის შესახებ და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრისა — სამხრეთ ვიეტნამში ფილატოვის მეთოდების გამოყენების შედეგების შესახებ.

## ამერიკის შეერთებული შტატები გაძლიერებით ემზადებიან ბაქტერიოლოგიური ომისათვის

### ამერიკელი ჟურნალისტის აღიარება

**ნიუ-იორკი,** 17 ივლისი. (საკდესი). ჟურნალ „ლუკის" მორიგ ნომერში გამოქვეყნებულია ამ ჟურნალის რედაქტორის თანაშემწის სტეფან უაიტის სტატია, რომელიც აღიარებს, რომ „ამერიკის შეერთებულ შტატებში მთავრობის სულ ცოტა ხუთი ორგანიზაცია ძირითად ყურადღებას აქცევს მუშაობას ბაქტერიოლოგიური იარაღის დარგში. მათ შორის უდიდესია ამერიკის არმიის ქიმიური კორპუსი, რომელიც ძირითად სამუშაოს ასრულებს. სამხედრო-სამედიცინო სამმართველოს უფროსიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ამაში. თავდაცვის სამინისტროში საზღვაო სამინისტრო ცდილობს უხელმძღვანელოს ამ სამუშაოებს ნაწილობრივ იმიტომ, რომ საზღვაო სამინისტროს არა სურს არმიის ხელში იყოს რომელიმე იარაღის მონოპოლია, და ნაწილობრივ იმიტომ, რომ ეს დაკავშირებულია სანაპირო დაცვის პრობლემებთან.

სამხედრო ორგანოების გარდა, ბაქტერიოლოგიური იარაღის დარგში მუშაობენ ჯანმრთელობის დაცვის სამმართველო და მიწათმოქმედების სამინისტრო... ამ ორგანოებს... უწინარეს ყოვლისა სურთ რაც შეიძლება მეტი ცნობები მიიღონ ბაქტერიებისა და ვირუსების შესახებ. სწორედ ეს ორგანიზმები ან მათი პროდუქტები იქნება გამოყენებული, თუ დაიწყო ბაქტერიოლოგიური ომი. თუ ეს ორგანიზმები გამოიყენეს, ისინი, როგორც ფიქრობენ, გამრავლდებიან ისევე, როგორც ჩვეულებრივი ეპიდემიის დროს.

მაგრამ ორგანიზმების ყოლა როდი კმარა. მათგან უმრავლესობა ფართოდ გავრცელებულია ბუნებაში და მაინც არ იწვევს მასობრივ ეპიდემიას. ამოცანაა მათი ძალის გადიდება—მოშენების, მუტაციების ხელოვნურად შექმნის გზით და სპეციალურად შერჩეულ ორგანიზმებში უფრო მომაკვდინებელი ბაქტერიების მოშენების გზით. ასეთმა ხელოვნურმა ბაქტერიებმა და ვირუსებმა შეიძლება გამოიწვიონ ნამდვილი ეპიდემიები. და სწორედ ასეთი მუშაობა წარმოებს ფარულად ისეთ ადგილებში, როგორიც არის კემპ-დეტრიკი (მერილენდის შტატი), და სრულიად საიდუმლოდ".

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

### 20 ივლისს

**რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.**

06.25 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 07.30 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 09.20 შტრაუსის და ვალდტეიფელის ვალსები; 11.10—საქ. სახ. ფილარმონიის სოლისტების მირცხულავას და კირვალიძის კონცერტი; 11.30 — „პიონერთა დაფიონის" საკვირაო გამოშვება; 12.15 — საქ. რადიოკომიტეტის სოლისტის ანგელინა მიქაბერიძის კონცერტი; 16.00 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება" № 69; 17.20 — პოპულარული მუსიკის კონცერტი; 17.45 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ჩუკოვსკის ზღაპარ „ექიმ აიბოლიტის" რადიოინსცენირება; 18.45—საოპერო მუსიკის კონცერტი...

**რადიოსადგურებით 1500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.**

20.30 — საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კვინიხიძის საუბარი თემაზე: „ფიზკულტურელის საკავშირო დღე"; 20.45 — კამერული მუსიკის კონცერტი; 21.00 — გადაცემა მრეწველობის მუშაკთათვის ციკლიდან „საქართველო კომუნიზმის დიად მშენებლობებს" — „კიროვის სახელობის თბილისის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივი კომუნიზმის დიად მშენებლობებს"; 21.20 — ძველებური რომანსები საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ობუხოვას შესრულებით; 22.15 — ლიტერატურულ-მუსიკალური გადაცემა, მიძღვნილი ახალგაზრდობის სპორტული დღესასწაულისადმი; 22.45 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 00.05 — საესტრადო მუსიკის კონცერტი.

## დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — გორდა (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით); **მუსიკალური კომედიის** — მე შენ მოგნახავ; **ფილარმონია** — კონცერტი გოჰარ გასპარიანის მონაწილეობით.

## თბილისის ოლქის პირველობის გათამაშება კალათბურთში

16 ივლისს გორის [illegible] კალათბურთელთა [illegible] ოლქის [illegible] შეჯიბრებაში მონაწილეობენ ქ. გორის („პიშჩევიკი"), გორის რაიონის (ნაკრები), თელავის (ნაკრები), თეთრი წყაროს (ნაკრები), ახალქალაქის („ისკრა"), სიღნაღის (ნაკრები), ხაშურის („წითელი წყალი") და ბორჯომის (ნაკრები) ვაჟ კალათბურთელთა გუნდები.

შეჯიბრება მიმდინარეობს წრიული სისტემით. გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა გარდამავალი თასი. პირველ და მეორე ადგილზე გამოსულ გუნდებს უფლება მიენიჭებათ მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკური პირველობის გათამაშებაში.

პირველ დღეს გორელმა კალათბურთელებმა დაამარცხეს თეთრი წყაროს გუნდი, თელავლებმა მოუგეს ახალქალაქელებს. გორისა და სიღნაღის რაიონების ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა სიღნაღელების გამარჯვებით, ხაშურისა და ბორჯომის რაიონების გუნდების შეხვედრა — ბორჯომელთა დამარცხებით.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. ჯაფარიძე.

## მასობრივი ასვლა ბრუტსაბძელაზე

7 ივლისს გორიდან სამხრეთ ოსეთისაკენ გაემგზავრა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ მოწყობილი ალპინიადის მონაწილე სტუდენტთა ჯგუფი 133 კაცის შემადგენლობით. ალპინიადის მოწყობის მიზანი იყო მწვერვალ ბრუტსაბძელაზე (3.790 მეტრი ზღვის დონიდან) მასობრივი ასვლის განხორციელება.

მიუხედავად ცუდი ამინდისა (განუწყვეტელი წვიმა და თოვლი), 11 ივლისს ალპინიადის მონაწილეებმა მიაღწიეს მწვერვალს და იმავე დღეს დაბრუნდნენ ღამის ბანაკში. მწვერვალზე ავიდა 125 კაცი.

ალპინიადაში მონაწილეობა მიიღეს ალპინიზმის უფროსმა ინსტრუქტორებმა კ. ასატიანმა და გ. მელიამ. ასვლას ხელმძღვანელობდა ალპინიზმის უფროსი მასწავლებელი დ. [illegible].

14 ივლისს ალპინიადის მონაწილენი გორში დაბრუნდნენ.

## ქართული ხილი მოსკოვში, ლენინგრადში და კომუნიზმის დიად მშენებლობებზე

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის (ცეკავშირი) [illegible] გაერთიანებამ „საქხილპროდუქტმა" დამზადა და მოსკოვის მშრომელებისათვის მოსკოვის „[illegible]" ბაზას გაუგზავნა 240,7 ტონა [illegible] ხილი, „მოსკულტორგს"—318, „ცენტროკულტორგის" ბაზას—20, [illegible]—20 და [illegible] მოსკოვის [illegible] 29,[illegible] ტონა ხილი.

„საქხილპროდუქტი" გადაწყვეტილი აქვს წლის ბოლომდე მოსკოვსა და ლენინგრადში აგრეთვე კომუნიზმის დიად მშენებლობებზე გაგზავნოს 2.000-ზე მეტი ტონა ქართული ხილი.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე — [illegible] წარმოების მოწინავეების მოსავლის [illegible].

ი. ბ. სტალინმა მიიღო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე პიეტრო ნენი.

კომბაინერ ტიტენიძის გამოწვევა — რესპუბლიკის ყველა მექანიზატორს.

ვ. ტატიშვილი — [illegible].

მეორე გვერდი — საერთო სათაურით „ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნის წინ" წერილები: გუშინ ვოლგა-დონზე. ი. გოგიაძე — დიდი მშენებლობის ადამიანები. ვოლგა-დონის გამოცდილება — ყველა ახალმშენებლობებს. გ. შენგელია — მეცნიერთა წვლილი. საქართველოს სსრ ტექნიკური მეცნიერები ვოლგა-დონის გასამშვენებლად.

მესამე გვერდი — ი. ლაზარიშვილი — [illegible]. შ. ბიზიშვილი — მთავარია მაღალი ხარისხი. [illegible] — ახალი რუსთავის სახე.

მკითხველთა წერილები.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევას სრული ლიკვიდაციისათვის.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაცია.

რედაქტორი ზ. მერკვილაძე


**თბილისის IV სამუსიკო სასწავლებელი** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1952-53 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: საფორტეპიანო, ვოკალური (სიმღერა), საორკესტრო (სიმებიანი და ჩასაბერი), საგუნდო, სადირიჟორო და თეორიული. სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 14-დან 30 წლამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სამუსიკო სკოლა და ზოგადი განათლების სკოლის 7 კლასი.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: სამუსიკო სკოლის დამთავრების მოწმობა (დედანი), ზოგადი განათლების ცნობა, დაბადების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, სამი შემოწმებული ფოტოსურათი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, სამხედრო ბილეთი (პირადად), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. განცხადებები მიიღება 10 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 15-დან 25 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებელში ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე. მისამართი: საბჭოს ქ. № 127. ტელეფ. 3-60-21.


## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის, „ამირანი"** (ზაფხულის, ზამთრის), **„თბილისი", 26 კომისრის სახელობის** (ზაფხულის, ზამთრის), **„იხანი"** (ზამთრის) —გამოუცდელი ახალგაზრდები სტადიონზე, (ზაფხულის) — სიყვარულის წამალი; **„ოქტომბერი"**, კიროვის პარკი — მოპარული ბედნიერება; **ორჯონიკიძის პარკი** — აჯანყება უდაბნოში; **„კოლხიდა"** (ზაფხულის) — ცოცხალი ლეში, (ზამთრის)—ოცნება.


**თბილისის ოლქის კინოფიკაციის სამმართველოს ესაჭიროება მე-2 კლასის შოფერი**

გაზ—67 ავტომანქანაზე სამუშაოდ.

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 125.


ბიძები იოსებ, ლევან, ივანე, ვახტანგ, ბიცოლები ნადია, ლუბა, ვერა, ლოლა ცქიტიშვილები იუწყებიან **ნუგზარ მამუკას-ძე ცქიტიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-VII, 8 ს. გამოსვენება 20-VII, 6 ს. უნივერსიტეტის, 42.

დედა ეკატერინე, მეუღლე სონია, ძმა ვასო ოჯახით, ძმისწული ვალოდია, და ფლორა, სიძე ალექსი მენაბდე შვილებით იუწყებიან **იროდიონ ნიკოლოზის-ძე მჭედლიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-VII, 8 ს. გამოსვენება 22-VII, 6 ს. კოდორის, 4.

შვილები ვერა, მარგარიტა ალენიკოვები, სიძე იური, შვილიშვილები ლია, თეიმურაზ, ნაზაროვები იუწყებიან **ანა მოხეს ასულ ალენიკოვას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-VII, ქ. ბათუმში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ალათი მათეს ასულ პატარაიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 20-VII, 2 ს. ლერმონტოვის, 20.

მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება იუწყება **ანა გულიასპის ასულ ხარატიშვილის** გარდაცვალებას.

ბებიები ოლია, პაშა, ბაბუა ნიკოლოზ ამაშუკელები, ე. ვაშალომიძე, გ. მგალობლიშვილი შვილებით და ო. ლორთქიფანიძე იუწყებიან **ი. ს. ამაშუკელის** გარდაცვალებას. გამოსვენება 19-VII, 6 ს. ჯორჯიაშვილის, 6.

მამიდა თინა, ბიძა მელიტონ, მამიდაშვილი ეთერ ჩხეიძეები, სიძე ვ. უხანოვი შვილით რევაზით იუწყებიან **ი. ამაშუკელის** გარდაცვალებას.

მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **ალექსანდრე პეტრეს-ძე ნავროზაშვილის** გარდაცვალებას.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02898